სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი #5

ქ. თბილისი **2023 წლის 09 ივნისი**

სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

1.ნაზირა კაკულია 2. მიხეილ ჩიკვილაძე 3. ლელა ბახტაძე 4. დავით ნებიერიძე 5. საბა გოგიბერიძე 6. ელენე გაჩეჩილაძე 7. ლიკა წერეთელი 8. ილია თავხელიძე 9. ლია მაჭავარიანი 10. მარიამ ახალკაციშვილი 11. ანა ბოკერია 12. მარიამ ვარდოსანიძე 13. ვასილ ბერიძე 14. დავით შუბითიძე 15. მარინა გარიშვილი 16. მაია ივანიძე 17. ბარბარა მახარაძე 18. ნათია სვანიძე 19. ავთანდილ ტუკვაძე 20.ალექსანდრე გაბაშვილი 21. კახა კუჭუხიძე 22. ნინო პაქსაშვილი 23. ვლადიმერ გამსახურდია 24. იზაბელა პეტრიაშვილი 25. ბარბარე მამაგეიშვილი 26. ვლადიმერ მარგველაშვილი 27. შალვა ფარულავა 28. გიორგი პატარაია 29. კახაბერ ლორია 30. ელისაბედ ბჟალავა 31. მანანა რუსიეშვილი 32. ლერი თავაძე 33. ნიკოლოზ ჯავახიშვილი 34. ინგა სანიკიძე 35. გიორგი არქანია 36. საბა გიორგაძე 37. ლუკა ნარმანია 38. ზურაბ გაიპარაშვილი 39. ნინო პავლიაშვილი 40. გიორგი მამარდაშვილი 41. ედიშერ ფუტკარაძე 42. მანანა ნიკოლაიშვილი 43. მარინა გურგენიშვილი 44. მარინე ხუციშვილი 45. ნოდარ ლომიძე 46. თეა შავაძე 47. ალექსი პაჭკორია (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები: 1. ჯაბა სამუშია 2. ზურაბ აბაშიძე 3. ნიკოლოზ ავაზაშვილი 4. ავთანდილ ამირანაშვილი 5. მიხეილ ბახტაძე 6. ცისანა გავაშელი 7. ვასილ გონაშვილი 8. მაია კოპალეიშვილი 9. გია ლობჟანიძე 10. ვახტანგ მაღრაძე 11. გოჩა ფერაძე 12. ომარ ფურთუხია 13. ზაქარია ქიტიაშვილი 14. რამაზ ქურდაძე 15. ალექსანდრე ღონღაძე 16. თამაზ ყარალაშვილი 17. მორის შალიკაშვილი 18. რევაზ შანიძე 19. მარინე ჩიტაშვილი 20. ეთერ ხარაიშვილი 21. მანანა ხაჩიძე 22. მამუკა ხუსკივაძე (დანართი 2)

დღის წესრიგი:

1. ქ. თბილისში, მ. ალექსიძის ქ. II შესახვევი N2-ში მდებარე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ 12.47 კვ.მ. ფართის სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ **(მომხსენებელი: ლაშა საღინაძე)**

2. ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. N6-ში მდებარე, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ფართიდან 01.14.03.042.137 საკადასტრო კოდით დაფიქსირებული ფართის ნაწილზე, დაახლოებით 1000 კვ. მეტრი ფართის, ა(ა)იპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის ინსტიტუტისათვის დროებით სარგებლობაში გაცემის შესახებ **(მომხსენებელი: ლაშა საღინაძე)**

3. ფიზიკური პირის - ვლადიმერ კაკულიას განცხადების (თსუ-ში რეგისტრირებულია ნომრით 5089/10-02, 15.03.2023) განხილვა, სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის, გარკვეული პირობების სანაცვლოდ, 3 (სამი) ერთეული პადელის კორტის ჩუქებასთან დაკავშირებით **(მომხსენებელი: ლაშა საღინაძე);**

4. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ცალკეული უძრავი ქონების გამიჯვნისა და გასხვისებასთან დაკავშირებით დასკვნის (რეკომენდაციის) მომზადების მიზნით თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 27 აპრილის #96/02-01 ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისიის მუშაობის შედეგების შესახებ **(მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე - მაია ივანიძე).**

5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებების დამტკიცების შესახებ **(მომხსენებელი: რამაზ ხომერიკი);**

6. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულებაში ცვლილებების დამტკიცების შესახებ **(მომხსენებელი: ზურაბ გაიპარაშვილი);**

7. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურაში ცვლილების შეტანის, მისგან გამომდინარე, უნივერისტეტის პუბლიცისტიკისა და ელექტრონული მედია ცენტრის დებულების ძალადაკარგულად ცნობისა და უნივერისტეტის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დებულების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ **(მომხსენებელი: ნინო უგრეხელიძე);**

8. „სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებში“ შესატანი ცვლილებების დამტკიცების შესახებ **(მომხსენებელი: ნათელა ლაცაბიძე);**

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად;

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოს წევრებს სიტყვით მიმართეს უნივერსიტეტის რექტორმა ჯაბა სამუშიამ და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა - ნიკოლოზ ჯავახიშვილმა.

როგორც სენატის წევრმა ნიკოლოზ ჯავახიშვილმა აღნიშნა, 2026 წლის აპრილში სრულდება 150 წელი დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების მოთავის - აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან. ამ იუბილის სათანადო დონეზე აღსანიშნავად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიება დაიგეგმება. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ უკანასკნელი სამი ათეული წლის განმავლობაში, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გამოუშვა რამდენიმე საიუბილეო მონეტა, რითაც ღირსეულად აღინიშნა ქართველი ერის ისტორიისა და კულტურის არაერთი საყურადღებო მოვლენა, თსუ-ის სენატისა და აკადემიური საბჭოს წევრთა წინაშე მომხსენებელმა წარადგინა წინადადება, რათა ზემოხსენებულ იუბილესთან დაკავშირებით დამზადდეს ოქროს და ვერცხლის საიუბილეო მონეტები. წამოყენებულ ინიციატივას ერთსულოვანი მხარდაჭერა მოჰყვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიური საბჭოს და სენატის გაერთიანებული სხდომის მონაწილეთა მხრიდან.

ამის შემდგომ, სხდომას სიტყვით მიმართა უნივერსიტეტის რექტორმა და ისაუბრა რამდენიმე საკითხთან, მათ შორის, სამსახურში გამოცხადების ახალ წესთან დაკავშირებით. აღინიშნა, რომ დაგეგმილი ცვლილებები, რომელიც დღეს წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად იქნება წარმოდგენილი ემსახურება პერსონალზე ზრუნვას, შრომის პირობების გაუმჯობესებას და შრომის დისციპლინის განმტკიცებას. თსუ რექტორმა ისაუბრა შინაგანაწესით დადგენილ გარკვეულ შეღავათებზე, მათ შორის, **day off**-ზე და აღნიშნა, რომ კონტროლს პროცესზე განახორციელებს თსუ აუდიტის დეპარტამენტი. ხაზი გაესვა, დიდი ივანე ჯავახიშვილის იუბილესთან დაკავშირებით შესაბამისი კომისიის შექმნის აუცილებლობას. აღინიშნა, რომ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მხრიდან გამოითქვა მზადყოფნა და დაპირება ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმის, რომელიც მდებარეობს შიდა ქართლის მხარეში, კასპის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხოვლეში დადგენილი წესით გადმოცემის ხელშეწყობასთან დაკავშირებით. ითქვა, რომ ვიზიტიც იგეგმება შიდა ქართლში. თსუ რექტორმა ასევე ისაუბრა თსუ საუნივერსიტეტი სამედიცინო კლინიკის შესახებ, აღინიშნა, რომ შეხვედრა შედგა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან, არსებობს სრული მხარდაჭერა ამ მიმართულებით, მიმდინარეობს გარკვეული მოლაპარაკებები აღნიშნულ საკითხზე და უახლოეს პერიოდში იგეგმება შესაბამისი მემორანდუმის ტექსტის წარმოდგენა განხილვისათვის.
თსუ რექტორმა ასევე ისაუბრა კვების ობიექტების იჯარებთან დაკავშირებით. აღინიშნა, რომ გამოცხადებულ ტენდერებზე ინტერესი არავის გამოუხატავს. გამოთქვა მოსაზრება, რომ განმეორებითი ტენდერის (ფასის კორექტირებით, სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან შეთანხმებით), ჩავარდნის შემთხვევაში შესაძლოა უნივერსიტეტმა თავად უზრუნველყოს სტუდენტები აღნიშნული სერვისით, მაგ. ა(ა)იპ ჩამოყალიბებით, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ეს გაკეთდეს კანონმდებლობასთან

სრული შესაბამისობის უზრუნველყოფით და ამ კუთხით მუშაობა დაევალა თსუ კანცლერს- ლაშა საღინაძეს.
თსუ-ს რექტორმა ასევე დაავალა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს შოთა ფოთოლაშვილს ამ სფეროს ანალიზისა და ზოგადი მონაცემების წარმოდგენა მომდევნო სენატის სხდომისთვის, რათა გვქონდეს ინფორმაცია, რა ისწავლება უნივერსიტეტში. აღნიშნა, რომ არსებული ინფორმაციით, თსუ-ში ისწავლება 3000 საგანზე მეტი, ამასთან, არის დუბლირებული საგნები. აუცილებელია სწავლების ხარისხის მაქსიმალური ზრდა, რაზეც ასევე საუბარი იყო თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებთან შეხვედრისას. შესაბამისად, აუცილებელი იქნება მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი და შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვა. ასევე, თსუ რექტორმა ისაუბრა ენების კომპეტენციის ამაღლებისა და სტუდენტისათვის ამ კუთხით მეტი თავისუფლების მიცემის აუცილებლობაზე. აღნიშნა, რომ შესაბამისი დავალებები მიეცა თსუ ენების ცენტრის დირექტორს.
თსუ რექტორი ჯაბა სამუშიამ აღნიშნა, რომ კომისიამ დაასრულა მუშაობა უნივესიტეტის ქუჩაზე, უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან ნაწილის გასხვისების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. აღინიშნა, რომ კანონით დადგენილი პროცედურების გავლის შემთხვევაში, მიღებული შემოსავალი მოხმარდება თსუ საგამოცდო ცენტრის გარემონტება-აღჭურვას, თსუ მე-5 სასწავლო კორპუსის სრულ რეაბილიტაციასა და თუ თანხა საკმარისი იქნა, თსუ მე-4 სასწავლო კორპუსის რეაბილიტაციას. ასევე აღინიშნა, რომ რექტორი განაგრძობს სტუდენტებთან პერიოდულ შეხვედრებს. კიდევ ერთხელ, ხაზი გაესვა სტუდენტური საცხოვრებლის აშენების პრიორიტეტულობას და უკვე შემდეგ სხვა ინფრასტრუქტურულ პროექტების განხორციელების მნიშვნელობას. რექტორი ასევე გამოეხმაურა სიუჟეტს, რომელიც მისი განმარტებით იყო აბსოლუტურად არაობიექტური და ტენდენციური. აღნიშნა, რომ 2020 წლის აუდიტის დაკვნასთან დაკავშირებით მისი ხსენება ალოგიკური იყო, ვინაიდან მაშინ ის არ იყო თსუ რექტორი. იქვე აღნიშნა, რომ თსუ აუდუტის სამსახურის ხელმძღვანელი შოთა ჭანტურიძე უახლოეს პერიოდში წარსდგება აკადემიური საბჭოს წინაშე მოხსენებით დასახელებულ დასკვნასთან დაკავშირებით.
სიტყვის დასასრულს, უნივერსიტეტის რექტორმა სტუდენტებს კიდევ ერთხელ მოუწოდა მაქსიმალური ჩართულობისა და აქტიურობისაკენ საკითხების განხილვაში, ასევე მიესალმა მშვიდ გარემოში ჩატარებულ თვითმმართველობის არჩევნებს, რომელიც სრულად დაცული იყო თსუ ადმინისტრაციის მხრიდან რაიმე ჩარევისაგან. ასევე დაპირდა სტუდენტებს, სამომავლოდ თსუ-ს ბიუჯეტში სტუდენტური პროეტების (სამეცნიერო კონფერენციები, პუბლიკაციები და სხვ) დაფინანსების გაზრდასთან დაკავშირებით.
რექტორის სიტყვის დასრულების შემდგომ სხდომა გაგრძელდა დღის წესრიგით გათვალისწნებული საკითხების განხილვით.

1.თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ლაშა საღინაძემ, საბჭოს წინაშე განსახილველად და თანხმობის მისაღებად წარმოადგინა ქ. თბილისში, მ. ალექსიძის ქ. II შესახვევი N2-ში მდებარე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ 12.47 კვ.მ. ფართის სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისათვის სარგებლობის უფლებით

გადაცემის შესახებ საკითხი. აღნიშნა, რომ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა ინტერნეტ მომსახურებას და საგანმანათლებლო სერვისების მიწოდებას უწევს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სხვადასხვა საგანმანათლებლო სსიპ-ებს და ქვეყანაში არსებულ ყველა საჯარო სკოლას. მართვის სისტემას გააჩნია ორი მომნაცემთა ცენტრი (სასერვერო), გ. ფანჯიკიძის N1ა-ში და ალექსიძის II შესახვევი N2-ში (მეორე სართულზე რომელსაც იყენებს უნივერსიტეტი). ვინაიდან დღესდღეობით გადასულები არიან ელექტრონულ სერვისებზე, მათ აღარ ჰყოფნით სასერვერო კარადების რაოდენობა აპარატურის ჩასაყენებლად და საჭიროა დამატება, რისთვისაც ესაჭიროებათ ფართის გაზრდა (12.47 კვ.მ-ით). შესაბამისად, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა ითხოვს გადავცეთ აღნიშნული (12.47 კვ.მ) ფართი ალექსიძის II შესახვევი N2-ში, რათა მართვის სისტემამ შეუფერხებლად შეძლოს მასზედ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 47

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა ქ. თბილისში, მ. ალექსიძის ქ. II შესახვევი N2-ში მდებარე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ 12.47 კვ.მ. ფართის სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე (დანართი 3);

2. თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ლაშა საღინაძემ, საბჭოს წინაშე განსახილველად და თანხმობის მისაღებად წარმოადგინა ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. N6-ში მდებარე, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ფართიდან 01.14.03.042.137 საკადასტრო კოდით დაფიქსირებული ფართის ნაწილზე, დაახლოებით 1000 კვ. მეტრი ფართის, ა(ა)იპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის ინსტიტუტისათვის დროებით სარგებლობაში გაცემის შესახებ. აღინიშნა, რომ აღნიშნულ საკითხზე უნივერსიტეტს შუამდგომლობით მომართა ასევე საქართველოს საპატრიარქომ. საკითხზე იმსჯელა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემისა და საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების გასხვისების საკითხების განმხილველმა მუდმივმოქმედმა კომისიამ და ერთხმად დაადგინეს, ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. N6-ში მდებარე, უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ფართიდან 01.14.03.042.137 საკადასტრო კოდით დაფიქსირებული ფართის ნაწილზე (შენობა N6 (6), N7 (6), არაუმეტეს 1000 კვ.მ. ფართი უსასყიდლოდ, დროებით სარგებლობაში (არაუმეტეს 6 წლის ვადით) გადაეცეს ა(ა)იპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის ინსტიტუტს, ახალი შენობის დასრულებამდე, შესაბამისი დამატებითი პირობებით:

1. უნივერსიტეტის საჭიროების გათვალისწინებით, მისი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოშლა; 2. უნივერსიტეტთან შეთანხმების გარეშე აკრძალულია ნებისმიერი სახის სამუშაოების განხორციელება;
3. ფართში განხორციელებული საქმიანობის პროფილი უნდა იყოს უცვლელი შეთანხმების დღიდან დროებით სარგებლობის დასრულებამდე.

საკითხის ირგვლივ გაიმართა მსჯელობა. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის, გიორგი არქანიას მხრიდან დაისვა გარკვეული შეკითხვები, კერძოდ, ხომ არ გახდება ფართის გადაცემა უნივერსიტეტისთვის რაიმე ხელისშემშლელი ფაქტორი ავტორიზაცია-აკრედიტაციის კუთხით, იყენებს თუ არა აღნიშნულ ფართს უნივერსიტეტი, რატომ არის განსაზღვრული კონკრეტულად 6 (ექვსი) წელი და სხვა... როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ავტორიზაციის კუთხით ფართის პრობლემა არ დგას, ფართი უნივერსიტეტის მხრიდან გამოყენებულია ნაწილობრივ, ვადა გამომდინარეობს თავად ამ სასწავლებლის ავტორიზაციის მიზნებიდან, ხოლო ყველა სხვა დამატებითი პირობა, რომლითაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული უნივერსიტეტის ინტერესები, ასახული იქნება შესაბამის ხელშეკრულებაში.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 47

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. N6-ში მდებარე, უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ფართიდან 01.14.03.042.137 საკადასტრო კოდით დაფიქსირებული ფართის ნაწილზე (შენობა N6 (6), N7 (6), არაუმეტეს 1000 კვ.მ. ფართის უსასყიდლოდ, დროებით სარგებლობაში (არაუმეტეს 6 წლის ვადით) ა(ა)იპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის ინსტიტუტსათვის გადაცემაზე, ახალი შენობის დასრულებამდე, შესაბამისი დამატებითი პირობებით:
1. უნივერსიტეტის საჭიროების გათვალისწინებით, მისი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოშლა; 2. უნივერსიტეტთან შეთანხმების გარეშე აკრძალულია ნებისმიერი სახის სამუშაოების განხორციელება;
3. ფართში განხორციელებული საქმიანობის პროფილი უნდა იყოს უცვლელი შეთანხმების დღიდან დროებით სარგებლობის დასრულებამდე. (დანართი 4);

3. წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე განსახილველად წარმოდგენილი იქნა ფიზიკური პირის ვლადიმერ კაკულიას განცხადება (თსუ-ში რეგისტრირებულია ნომრით 5089/10-02, 15.03.2023), რომლის თანახმად, განმცხადებელი გვთავაზობს 3 ერთეული პადელის კორტის ჩუქებას, იმ პირობით, რომ ისინი განთავსდება და მოეწყობა მათივე ხარჯებით, ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩაზე (ნაკვ 06/20) მდებარე უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი 01.14.06.006.133) 900 კვ.მ. მიწის ფართზე და მას საკუთარი კომერციული მიზნებისათვის 10 წლის განმავლობაში გამოიყენებს განმცხადებელი (გასწევს მისი მოვლა-პატრონობის

ხარჯებს), ხოლო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის კორტების გამოყენება შესაძლებელი იქნება ყოველდღიურად 5 საათის განმავლობაში უსასყიდლოდ.
როგორც საკითხის მომხსენებელმა, თსუ კანცლერმა ლაშა საღინაძემ აღნიშნა, როგორც წარმომადგენლებმა შეხვედრისას აღნიშნეს, პადელი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი სპორტია მსოფლიოში. მიუხედავად იმისა, რომ პადელი ახალი სპორტის სახეობაა, ის ბევრ ქვეყანაში ძალზედ პოპულარული საჩოგნო სპორტი გახდა. ის განკუთვნილია ყველასთვის და მისი შესწავლა ადვილია. დაინტერესებული მხარის მიზანია, ხელი შეუწყონ პადელის სპორტის განვითარებას და პოპულარიზაციას საქართველოში, განსაკუთრებით კი სტუდენტ ახალგაზრდებში. (კანლერის მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისი ვიზუალური მასალა);

საკითხის ირგვლის გაიმართა დისკუსია. კითხვაზე, თუ რამდენია აღნიშნული პროექტის ღირებულება, აღინიშნა, რომ კორტების აშენების სავარაუდო ღირებულებაა 300 000 ლარი, ზუსტი ანგარიშის წარმოდგენა კი შესაძლებელი იქნება პროექტის დასრულების შემდეგ. თსუ კანცლერის მხრიდან ასევე მკაფიოდ აღინიშნა, რომ თავად მათ მიერ იქნება უზრუნველყოფილი კორტების მოვლა-პატრონობა 10 წლის განმავლობაში, ხოლო 10 წლის შემდეგ 3 პადელის კორტი რჩება უნივერსიტეტს. (რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ნივთის ცვეთაც გასათვალისწინებელია); აღინიშნა, რომ პადელები მარტივი, მსუბუქი კონსტრუქციისაა. ამასთან, მიღებული იქნება ყველა ზომა, რათა ხელი არ შეეშალოს ამ ტერიტორიაზე სასწავლო-სამეცნიერო პროცესს.
წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი სტუდენტების დავით ნებიერიძისა და კახა კუჭუხიძის მხრიდან დაისვა საკითხი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ტერიტორიაზე სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ასევე, არსებული სპორტული მოედნების მოვლა-პატრონობის აუცილებლობაზე. დისკუსიაში მონაწილეობდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები: ზურაბ გაიპარაშვილი, კახაბერ ლორია, ლერი თავაძე, გიორგი არქანია...

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 47

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა, 3 (სამი)ერთეული პადელის კორტის უნივერსიტეტისათვის უსასყიდლოდ გადმოცემაზე (ჩუქებაზე), წარმოდგენილი პირობებით. (დანართი 5)

4. დღის წესრიგის მე-4 საკითხთან დაკავშირებით, წარმოდგენილი იქნა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ცალკეული უძრავი ქონების გამიჯვნისა და გასხვისებასთან დაკავშირებით დასკვნის (რეკომენდაციის) მომზადების მიზნით თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 27 აპრილის #96/02-01 ბრძანების საფუძველზე შექმნილი

კომისიის მუშაობის შედეგები. როგორც კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, კომისიამ საფუძვლიანად, პრიორიტეტების სწორად განსაზღვრით, შეისწავლა აღნიშნული საკითხი. შედგა 2 (ორი) სხდომა, მათ შორის განხორციელდა ტერიტორიის ადგილზე დათვალიერება, შესწავლილი და განხილული იქნა შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაცია. როგორც საკითხის მომხსენებელმა, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა მაია ივანიძემ აღნიშნა, უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ, განსახილველ მიწის ნაკვეთს სამივე მხრიდან ესაზღვრება კერძო და საჯარო სასაფლაოს ტერიტორია, გარკვეულ ნაწილში გადის მიწისქვეშა გაყვანილობა (წყლის გამისტრალი), თავად ტერიტორია დაფარულია სხვადასხვა სახის ნარჩენით. აღინიშნა, რომ გასასხვისებელი ტერიტორიის წინ მდებარეობს მიწის ნაკვეთი, რომელიც თსუ ბიბლიოთეკის ცენტრალური კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაა. აღნიშნული ტერიტორია საუკეთესოა უნივერსიტეტის სამომავლო მიზნებისათვის.

კომისიის მიერ მომზადებული დასკვნა, დადგენილი წესით, გასაცნობად გადაგზავნილი იქნა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებთან.

შესაბამისად, საბჭოს წინაშე წარმოდგენილია შემდეგი სახის რეკომენდაციები:

1. გაიმიჯნოს და გასხვისდეს უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან ნაწილი, დაახლოებით 25,800 კვადრატული მეტრი, როგორც ცაკლე მიწის ნაკვეთი. აშენდეს კედელი (ღობე), რომელიც იურიდიულ გამიჯვნასთან ერთად, ტერიტორიებს გამიჯნავს ფიზიკურადაც.

2. გასხვისების შემთხვევაში სწორად განისაზღვროს პრიორიტეტები და უნივერსიტეტის საჭიროებები. შემოსული თანხმებით მიზანშეწონილია უნივერსიტეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება (თანხის ნაწილი შესაძლოა მიმართული იყოს საუნივერსიტეტო კლინიკის შესაძენად).

3. სასურველია, სამომავლოდ თსუ ცენტრალური ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორიაზე აშენდეს სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი კორპუსი და მოეწყოს სპორტული მოედანი.

საკითხის ირგვლივ გაიმართა ფართო და ხანგრძლივი დისკუსია, რომელშიც მონაწილეობდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები, თსუ კანცლერი და სხდომაში მონაწილე სხვა პირები.

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე მონაწილე (არაწევრის სტატუსის მქონე) თსუ სტუდენტმა საბა ქერქაძემ კიდევ ერთხელ გამოხატა თავისი უარყოფითი პოზიცია ზოგადად უნივერსიტეტის ქონების პრივატიზებასთან და უნივერსიტეტის ქონების განკარგვის პოლიტიკასთან დაკავშირებით. მისი თქმით, უნივერსიტეტის რექტორს დაპირებისამბერ, დღევანდელ სხდომაზე, უნდა წარმოედგინა ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ალტერნატიული გეგმა და, ზოგადად უნივერსიტეტის ქონების განკარგვის პოლიტიკა, ხედვა, რაც დღევანდელ სხდომაზე არ მომხდარა. ამდენად, მან

არასწორად მიიჩნია კომისიის დასკვნის განხილვა ალტერნატიული გეგმის არარსებობის პირობებში და მოუწოდა სენატის წევრებს, მიეღოთ გადაწყვეტილება, მომავალი სხდომისთვის თსუ რექტორს და ადმინისტრაციას დავალებოდათ უნივერსიტეტის ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ალტერნატიული გეგმის, ხედვის წარმოდგენა.
როგორც კომისიის წევრმა, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა ნაზირა კაკულიამ აღნიშნა, აღნიშნული კომისიის წევრ საბა ქერქაძეს, ჰქონდა შესაძლებლობა აქტიური მონაწილეობა მიეღო კომისიის მუშაობაში და წარმოედგინა თავისი პოზიცია, თუმცა კომისიის მეორე სხდომას იგი არ დასწრებია. აღნიშნა, რომ კომისია მუშაობდა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში და გადაწყვეტილება მიღებულია კონკრეტული ქონების გასხვისებაზე უნივერსიტეტის ინტერესების გათვალისწინებით, გარკვეული დათქმებით.
წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, კომისიის წევრმა ზურაბ გაიპარაშვილმა აღნიშნა, რომ კომისიის წევრ საბა ქერქაძის პოზიცია დაფიქსირებულია პირველ ოქმში. ის იზიარებს სტუდენტ საბა ქერქაძის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ უნდა არსებობდეს გარკვეული ხედვა, გეგმა უნივერსიტეტის ქონების განკარგვასთან დაკავშირებით. სენატის წევრის აზრით, მიწის ნაკვეთების გასხვისება ეს არ არის გამოსავალი და პრობლემის გადაჭრის გზა. მნიშვნელოვანია, პირველ ქართულ უნივერსიტეტს ჰქონდეს სახელმწიფოს მხრიდან მაქსიმალური ფინანური მხარდაჭერა, ეს აპრობირებული მეთოდია ბევრს სახელმწიფოში. უნდა არსებობდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფინანსების წესი, აუცილებელია უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა მაქსიმალური ჩართულობა ამ პროცესში. ასევე გამომსვლელის აზრით, აუცილებელია ამ ტერიროტიაზე საფუძველი ჩაეყაროს სტუდენტური საცხოვრებლის მშენებლობას.
როგორც წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა ინგა სანიკიძემ აღნიშნა, უნდა არსებობდეს პრიორიტეტები. მართალია, უნივერსიტეტისათვის ნებისმიერი მიწის ნაკვეთი მნიშვნელოვანია, მაგრამ იგი მოელის სარგებელს სტუდენტებისათვის ამ გადაწყვეტილებით, რადგან თსუ მე-7 კორპუსში სტუდენტები არიან არასასწავლო პირობებში, სიცივეში...
ხანგრძლივ დიკუსიაში მონაწილეობა მიიღეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა გიორგი არქანიამ, ლერი თავაძემ, ელისაბედ ბჟალავამ, მარიამ ახალკაციშვილმა წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა ვლადიმერ მარგველაშვილმა... გამომსვლელებმა აღნიშნეს შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან კომუნიკაციის აუცილებლობაზე, სტუდენტების, პროფესურის და ადმინისტრაციის წარმომადგენლების ჩართულობით.

დისკუსიის დასასრულს, თსუ კანცლერმა ლაშა საღინაძემ აღნიშნა, რომ საჭიროა არსებობდეს უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განვითარების გეგმა, ეს გეგმა უნდა შემუშავდეს, რათა შევჯერდეთ როგორ განვავითაროთ უნივერიტეტის კონკრეტული ტერიტორიები.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: მიღებული და გაზიარებული იქნეს თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 27 აპრილის #96/02-01 ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისიის მიერ მოწოდებული რეკომენდაციები წარმოდგენილი სახით (დანართი 6);

5. როგორც საკითხის მომხსენებელმა, თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა რამაზ ხომერიკმა აღნიშნა, საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოდგენილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში დაგეგმილი ცვლილებები. აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილება მოწონებულია თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს მიერ. (2023 წლის 21 მარტის #4 სხდომის ოქმიდან ამონაწერი). კერძოდ, მიღებულია გადაწყვეტილება, რომ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტში შეიქმნას:
- თანამედროვე ფიზიკური ექსპერიმენტის მეთოდების ლაბორატორია;
- მოდელირების სასწავლო ლაბორატორია.

შესაბამისად, ცვლილება შედის ფაკულტეტის დებულების 36-ე მუხლის მე-3 პუნქტში და ემატება ქვეპუნქტები:
ს) თანამედროვე ფიზიკური ექსპერიმენტის მეთოდების ლაბორატორია;
ტ) მოდელირების სასწავლო ლაბორატორია.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 47

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილება წარმოდგენილი სახით (დანართი 7);

6. დღის წესრიგის მე-6 საკითხთან დაკავშირებით, საკითხის მომხსენებელმა, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა ზურაბ გაიპარაშვილმა ისაუბრა ბიბლიოთეკის დებულებაში განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით. ვინაიდან საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკას გადმოეცა ცნობილი პიროვნებების პირადი არქივები, მიზანშეწონილად ჩაითვალა ცვლილება შევიდეს დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ,,კ“ ქვეპუნქტში. პირვანდელი რედაქციით სახელწოდება წარმოდგენილი

იყო შემდეგი სახით: ,,კ) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და უახლესი ისტორიის პერიოდის პირადი არქივების განყოფილება“, თუმცა აკადემიური საბჭოს წევრის, მიხეილ ბახტაძის რეკომენდაციაა სიტყვა „პირადი“ ამოღებული იქნეს და მას ეწოდოს: ,,კ) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და უახლესი ისტორიის პერიოდის არქივების განყოფილება“;
ასევე დებულების მე-4 მუხლის მე-12 პუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:
„12. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და უახლესი ისტორიის
პერიოდის პირადი არქივების განყოფილების ფუნქციებია:
ა) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში შექმნილი საბიბლიოთეკო–საარქივო დოკუმენტებისა და უახლესი ისტორიის პერიოდში უნივერსიტეტთან დაკავშირებულ გამოჩენილ პირთა, მეცნიერთა, და ხელოვანთა პირადი არქივების მოძიება, შესწავლა-დამუშავება, შენახვა, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანის ხელშეწყობა.
ბ) სამეცნიერო კვლევის ხელშეწყობა;
გ) გამოფენების, კონფერენციების, პუბლიკაციებისა და გამოცემების მომზადება;
დ) საბიბლიოთეკო–საარქივო ფონდების აღწერა, შესწავლა, ჯამობრივ და
ინვენტარის ჟურნალებში გატარება;
ე) საარქივო დოკუმენტების ტექნიკურად დამუშავება და კლასიფიცირება;
ვ) ელექტრონულ კატალოგში საბიბლიოთეკო დოკუმენტების მონაცემების
შეტანა.“
აღინიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი არ ითვალისწინებს თსუ ბიუჯეტში ცვლილებას.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 47

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულებაში ცვლილებები თანდართული სახით; (დანართი 8)

7. დღის წესრიგის მე-7 საკითხთან დაკავშირებით, საკითხის მომხსენებელმა ისაუბრა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურაში დაგეგმილ ცვლილებაზე, კერძოდ, აღინიშნა, რომ მიზანშეწონილად ჩაითვალა შეტანილი იქნეს ცვლილება უნივერისტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურაში, ამოღებული იქნას სტრუქტურული ერთეული - უნივერსიტეტის პუბლიცისტიკისა და ელექტრონული მედია ცენტრი, ძალადაკარგულად იქნას ცნობილი აღნიშნული ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე წარმომადგენლობით საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილება და დამტკიცდეს უნივერისტეტის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დებულება ახალი რედაქციით.

მომხსენებლის აზრით, აღნიშნული გადაწყვეტილება ეფუძნება რიგ გარემოებებს, კერძოდ, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი და პუბლიცისტიკისა და ელექტრონული მედია ცენტრი - ორივე ემსახურება უნივერსიტეტის მრავალმხრივი საქმიანობის საიმიჯო კამპანიის წარმოებას. იქიდან გამომდინარე, რომ დღევანდელი ფორმით არსებული თსუ-ს სატელევიზიო მიმართულება და კრებულების მომზადება ვეღარ აკმაყოფილებს უნივერსიტეტის მზარდ მოთხოვნილებებს, მიზანშეწონილად ჩაითვალა შეწყდეს ტელემიმართულებისა და კრებულების წარმოების ფუნქციონირება და ორგანიზაციული ცვლილებების სახით, გაზეთ ,,თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქცია დაექვემდებაროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს, გახდეს მისი შემადგენელი ნაწილი და ცენტრის ძირითადი ამოცანების შესრულება უზრუნველყოფილი იქნას საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ფარგლებში ორგანიზებული საქმიანობისა და მენეჯმენტის პირობებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა ასევე შეიცვალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დებულება, რომელიც გაითვალისწინებს შემოთავაზებულ სიახლეებს, რაც ავტომატურად გამოიწვევს პუბლიცისტიკისა და ელექტრონული მედია ცენტრის დებულების გაუქმებას. ზემოხსენებული (შრომის ახლებური ორგანიზაციული მოწესრიგება) არ მოახდენს უნივერისტეტის ბიუჯეტის ზრდაზე ზეგავლენას. ამავე დროს ცენტრის ის ამჟამინდელი პერსონალი, რომელიც, თავისი შრომის ხელშეკრულებისა და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფუნქციური დატვირთვის მიხედვით დაკავებულია უშუალოდ სატელევიზიო გადაცემების/დოკუმენტური ფილმების/საჯარო ლექციების/სიუჟეტების გადაღება/მომზადებასა და მათ სატელევიზიო სივრცეში გავრცელების უზრუნველყოფასთან, ისევე, როგორც პერსონალი, რომელიც, თავისი შრომის ხელშეკრულებისა და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფუნქციური დატვირთვის მიხედვით დაკავებულია უშუალოდ კრებულების მომზადება, გამოცემასა და გავრცელებასთან ავტომატურად კარგავს თავიანთ შრომით დატვირთვას, რადგან უნივერსიტეტის მიერ შესაბამისი საქმიანობის შეწყვეტასთან ერთად წყდება მათი შრომითი საქმიანობის აუცილებლობაც. ცენტრის ის პერსონალი, რომელიც თავიანთი თანამდებობისა და შრომის ხელშეკრულების, ასევე, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფუნქციური დატვირთვის მიხედვით დაკავებულია უშუალოდ გაზეთ ,,თბილისის უნივერსიტეტის” გამოცემის და მასთან დაკავშირებული საქმიანობების განხორციელებაში შრომით საქმიანობას გააგრძელებს იგივე ფუნქციური დატვირთვით საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ფარგლებში.

საკითხის მომხსენებელმა, ასევე თსუ კანცლერმა უპასუხეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის ზურაბ გაიპარაშვილის შეკითხვას, დებულებაში მითითებული ფუნქციიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის წარმატებულ კურსდამთავრებულებთან კომუნიკაციასთან დაკავშირებით.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრები:

თავდაპირველად კენჭი ეყარა სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურაში ცვლილების შეტანისა

და თსუ სტრუქტურიდან უნივერიტეტის პუბლიცისტიკისა და ელექტრონული მედია ცენტრის ამოღების საკითხს.

ამის შემდგომ, კენჭი ეყარა უნივერისტეტის პუბლიცისტიკისა და ელექტრონული მედია ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე წარმომადგენლობით საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ცნობასა და თსუ ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დებულების ახალი რედაქციით დამტკიცებას. ორივე კენჭისყრაზე დაფიქსირდა შემდეგი:

მომხრე: 47

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დამტკიცდეს თსუ ადმინისტრაციის სტრუქტურაში წარმოდგენილი ცვლილება და თსუ სტრუქტურიდან ამოღებული იქნეს სტრუქტურული ერთეული - უნივერისტეტის პუბლიცისტიკისა და ელექტრონული მედია ცენტრი;
2. ძალადაკარგულად იქნას ცნობილი უნივერისტეტის პუბლიცისტიკისა და ელექტრონული მედია ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე წარმომადგენლობით საბჭოს გადაწყვეტილება (წარმომადგენლობითი საბჭოს დისტანციური სხდომის ოქმი #4, 25.12.2020 წ. დანართი 6) და დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დებულება ახალი რედაქციით (დანართი 9);

8. დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა „სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებში“ შესატანი ცვლილებების პროექტი.საკითხის მომხსენებელმა, თსუ პერსონალის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ნათელა ლაცაბიძემ აღნიშნა, რომ ცვლილებების პროექტი გაეგზავნა ყველა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს და ეთხოვა მისი გაცნობა საშტატო და შტატგარეშე პოზიციაზე დასაქმებული ყველა კატეგორიის პერსონალისათვის. „შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებ“-ში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით შემოსული წერილობითი შენიშვნებიდან გათვალისწინებული იქნა რამდენიმე: ა) დაკორექტირდა მე-5 მუხლის მე-11 პუნქტში შესატანი ცვლილება. კერძოდ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს, ვისი სამუშაო დროც განისაზღვრება 09.00 საათიდან 18.00 საათამდე, სამუშაო კვირის განმავლობაში, სამუშაო საათების ფარგლებში, უფლება ეძლევა განახორციელოს უნივერსიტეტის ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო საქმიანობა შესაბამისი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, კვირაში არაუმეტეს 8 და სამუშაო დღის განმავლობაში არაუმეტეს 4 საათისა (ნაცვლად ცვლილებების პროექტის პირველი ვარიანტით განსაზღვრული „... კვირაში არაუმეტეს 8 და სამუშაო დღის განმავლობაში არაუმეტეს 3 საათისა“). ბ) სამსახურში გამოცხადება გამოცხადების დროზე არაუმეტეს 30 წუთით

გვიან (ნაცვლად შინაგანაწესში შესატანი ცვლილებების პირველ ვარიანტში მითითებული 15 წუთისა), მიიჩნევა ავტომატურად საპატიოდ და შინაგანაწესით გათვალისწინებული სანქციები არ გამოიყენება (მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი). გ) უშუალო ხელმძღვანელთან შეთანხმებით, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით, სამსახურში დადგენილზე ნახევარი საათით გვიან გამოცხადების ან სამუშაო ადგილის დადგენილზე ნახევარი საათით ადრე დატოვების უფლება მიეცემა თანამშრომელს, ვისაც ჰყავს შშმ/სსსმ ოჯახის წევრი (შინაგანაწესში შესატანი ცვლილებების პირველ ვარიანტში მითითებული იყო შშმ/სსსმ არასრულწლოვანი შვილი) ზემოაღნიშნული ცვლილებებით პროექტი კვლავ გადაეგზავნა ყველა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს და ეთხოვა მისი გასაცნობად გადაგზავნა პერსონალისათვის.
მომხსენებლის განმარტებით, ცვლილება შედის ასევე მე-8 მუხლის მე-4 პუნქტში, რომლის მიხედვითაც სისტემატურ დაგვიანებად და სისტემატურ გაცდენად ჩაითვლება პერსონალის მიერ სრული კალენდარული თვის განმავლობაში 3-ზე მეტჯერ სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადება, ერთი კალენდარული თვის განმავლობაში 2-ზე მეტჯერ გაცდენა, რაც მიჩნეული იქნება არასაპატიოდ და ავტომატურად გამოიწვევს დამრღვევი პირის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყებას. შინაგანაწესიდან ამოღებული იქნება მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი.
მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით: „1. პერსონალს, რომლის სამუშაო დრო განისაზღვრება 09.00 საათიდან 18.00 საათამდე (ყოველი სამუშაო კვირის პარასკევ დღეს ან საქართველოს ორგანული კანონი - საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული უქმე დღეების წინა სამუშაო დღეს - 09.00 საათიდან 17.00 საათამდე), უფლება აქვს კალენდარული წლის განმავლობაში არაუმეტეს 12, ხოლო თვის განმავლობაში არაუმეტეს 2 დღით ისარგებლოს სამსახურებრივი მოვალეობებისაგან დროებით გათავისუფლების უფლებით (შესაბამისი მიზეზის/მიზეზების გარეშე).“
ასევე, 27-ე მუხლის მე-3 პუნქტიდან ამოღენულ იქნება დისციპლინურუ სახდელის ისეთი ზომა, როგორიცაა „დ) უფრო დაბალ თანამდებობაზე ან უფრო დაბალ თანამდებობრივ სარგოზე გადაყვანა (უწყვეტად არა უმეტეს ექვსი თვისა);“, ხოლო 27-ე მუხლის მე-17 პუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით: „17. დასაქმებულის მიმართ ერთი წლის განმავლობაში 2 დისციპლინური სახდელის გამოყენება წარმოადგენს მისთვის შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველს“.

საკითხის ირგვლის გაიმართა დისკუსია კითხვა-პასუხის რეჟიმში, რომელშიც მონაწილეობდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები მარინა გარიშვილი, ზურაბ გაიპარაშვილი, კახაბერ ლორია. საკითხის მომხსენებელმა, სენატის წევრის მარინა გარიშვილის შეკითხვაზე კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ უნივერსიტეტის ასოცირებულ და ასისტენტ პროფესორებს, რომელთაც უნივერსიტეტში ამავდროულად უკავიათ ადმინისტრაცილ-დამხმარე პერსონალის პოზიცია შეუძლიათ თავიანთი უფლებამოსილების დადგენილზე მეტი დროით განხორციელება არასამუშაო საათებში, ასევე შაბათ დღეს. სენატის წევრი ზურაბ გაიპარაშვილი დაინტერესდა, თუ საპატიოდ ითვლება სამსახურში ნახევარი საათით გვიან გამოცხადება, სწორია ხომ არ იქნება ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზაც ამ პერიოდიდან დაიწყოს მუშაობა, ასევე დასვა კითხვები **day off-**თან დაკავშირებით. დისკუსიის ფარგლებში საუბარი შეეხო ასევე კვირის განმავლობაში სამუშაო საათების ხანგრძლივობის საკითხს, დადგენილ შეღავათებს და სხვა...

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 47

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებში“ შესატანი ცვლილებები წარმოდგენილი სახით (დანართი 10).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი ვლადიმერ მარგველაშვილი

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი გიორგი ოქიტაშვილი

წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 09 ივნისის სხდომის ოქმი №5,

დანართი 1

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები (2023 წლის 09 ივნისის #5 სხდომა)

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

1. ნაზირა კაკულია -
2. მიხეილ ჩიკვილაძე -
3. ნინო ფარესაშვილი -
4. ლელა ბახტაძე -
5. მარინა მაისურაძე -

სტუდენტები:

1. დავით ნებიერიძე -
2. საბა გოგიბერიძე -

3. მარიამ შენგელია -

4. ილარიონ ფიფია -

5. ელენე გაჩეჩილაძე -ე. გაჩეჩილაძე

6. ლიკა წერეთელი-

ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

1. ილია თავხელიძე-

2. ლია მაჭავარიანი-

3. ნათელა არჩვაძე-

4. ამირან ბიბილაშვილი-

5. მარიამ ახალკაციშვილი-

6. მაკა მურვანიძე-

სტუდენტები:

1. ანა ბოკერია-

2. მარიამ ვარდოსანიძე-

3. ვასილ ბერიძე-

4. დავით შუბითიძე-

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

1. მარინა გარიშვილი-

2. მაია ივანიძე-

3. გიორგი თუმანიშვილი-

სტუდენტები:

1. ბარბარა მახარაძე-

2. საბა ქვათაძე-

3. თამარ ჯინჭარაძე-

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

1. ხათუნა მაისაშვილი-

2. ნათია სვანიძე- ნ. სვანიძე

3. ავთანდილ ტუკვაძე-

სტუდენტები:

1. ალექსანდრე გაბაშვილი-

2. კახა კუჭუხიძე-

3. ნინო პაქსაშვილი-

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

1. ვლადიმერ გამსახურდია-

2. იზაბელა პეტრიაშვილი-

სტუდენტები:

1. ანი ფურცელაძე-

2. ბარბარე მამაგეიშვილი-

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

1. ვლადიმერ მარგველაშვილი-

2. თინა ქიტუაშვილი-

3. ზურაბ ჩხაიძე-

4. მალვა ფარულავა-

5. გიორგი პატარაია-

სტუდენტები:

1. ასპრაფ მაკკი ელკჰალიფა მოჰამედ-

2. ანა ფაშაევა-

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

1. კახაბერ ლორია-

2. ანასტასია ზაქარიაძე-

3. ელისაბედ ბჟალავა-

4. მანანა რუსიეშვილი-

5. თეა ქარჩავა-

6. ლერი თავაძე-

7. ნიკოლოზ ჯავახიშვილი-

8. ინგა სანიკიძე-

სტუდენტები:

1. გიორგი არქანია-

2. საბა გიორგაძე-

3. ნათია კორაშვილი-

4. საბა ლოლაძე-

5. ლუკა მამალაშვილი-

6. ლუკა ნარმანია-

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა

ზურაბ გაიპარაშვილი-

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა

ნინო პავლიაშვილი-

ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი

ციური სუმბაძე-

ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი

სოფიო ხუციშვილი-

კავკასიის ალ. თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი

ლალი ახალბედაშვილი-

შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტი

ადა ნემსაძე-

ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი

თეიმურაზ მაჩაიძე-

ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი

თამილა ჩალაძე-

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის სახელობის ინსტიტუტი

გიორგი მამარდაშვილი-

თინათინ წერეთლის სახელობის სახ. და სამართლის ინსტიტუტი

ედიშერ ფუტკარაძე-

მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი

მანანა ნიკოლაიშვილი-

პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

მარინა გურგენიშვილი-

რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

მარინე ხუციშვილი-

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

ეთერ კაკულია-

არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი

გვანცა გვანცელაძე-

მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი

ნოდარ ლომიძე-

ი. ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი

თეა შავაძე- თ. შავაძე

ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი

ალექსი პაჭკორია- ა. პ

წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 09 ივნისის სხდომის ოქმი №5,

დანართი 2

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს

წევრთა სია (2023 წლის 09 ივნისი, #5 სხდომა)

1. სამუშია ჯაბა, რექტორი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე
2. აბაშიძე ზურაბ
3. ავაზაშვილი ნიკოლოზ
4. ამირანაშვილი ავთანდილ
5. ანანიაშვილი ნათელა
6. ბახტაძე მიხეილ
7. გაგნიძე ნონა
8. გავაშელი ცისანა
9. გონაშვილი ვასილ
10. ზაუტაშვილი მარინე
11. კოპალეიშვილი მაია
12. კუხიანიძე ალექსანდრე
13. ლობჟანიძე გია
14. ლომიძე გაგა
15. მაღრაძე ვახტანგ

16. მინდაძე ნინო

17. სადრაძე ნინო

18. სილაგაძე ავთანდილ

19. ფერაძე გოჩა

20. ფურთუხია ომარ

21. ქიტიაშვილი ზაქარია

22. ქურდაძე რამაზ

23. ღონღაძე ალექსანდრე

24. ყარალაშვილი თამაზ

25. შავლაყაძე ნუგზარ

26. შალიკაშვილი მორის

27. შანიძე რევაზი

28. შარაშიძე ნინო

29. შენგელია თემური

30. ჩიტაშვილი მარინე

31. ცაგარელი ზურაბ

32. ცისკარიძე ალექსანდრე

33. წერეთელი მარი

34. წერეთელი მზია

35. ხარაიშვილი ეთერ

36. ხაჩიძე მანანა

37. ხუსკივაძე მამუკა

38. ხუციშვილი ქეთევან

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 15181/10 06/06/2023

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი
საბჭოს სპიკერს ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ განიხილოთ:

1. ქ. თბილისში, მ. ალექსიძის ქ. II შესახვევი N2-ში მდებარე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ 12.47 კვ.მ. ფართის სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციოსისტემისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ(შემოსული დოკუმენტი 8803/10-02 საფუძველზე).
2. ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. N6-ში მდებარე, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ფართიდან 01.14.03.042.137 საკადასტრო კოდით დაფიქსირებული ფართის ნაწილზე, დაახლოებით 1000 კვ. მეტრი ფართის, ა(ა)იპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის ინსტიტუტისათვის დროებით სარგებლობაში გაცემის შესახებს (შემოსული დოკუმენტი 9415/10-02 საფუძველზე).

დანართი: 3 ფაილი

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1. Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფოსტა: chancellery@tsu.ge; E-mail

სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
LEPL - EDUCATION MANAGEMENT INFORMATION SYSTEM

თბილისი, 0160, ფანჯიკიძის ქ. №1ა www.emis.ge ელ.ფოსტა: info@emis.ge ტელ.: +995 322 200220
№1a Panjikidze st, 0160, Tbilisi, Georgia www.emis.ge E-mail: info@emis.ge Phone: +995 322 200220

MES 6 23 0000547776

ელექტრონული დოკუმენტბრუნვა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკ

N 15144/10 06/06/2023

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემისა და საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების გასხვისების საკითხების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის ოქმი

ქ. თბილისი 30 მაისი 2023 წელი

სხდომის თავმჯდომარე- ლაშა საღინაძე
სხდომის მდივანი - ნინო კუტალაძე
სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიორგი შამათავა, არჩილ კუკულავა, მანონი ჯოჯუა, ლია ღვალაძე, რუსუდან ნასარიძე, მურმანი ცარციძე, ლიანა მჭედლიშვილი. აგრეთვე, სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები - მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე იოსებ სოფრომაძე და ამავე დეპარტამენტის სამეურნეო განყოფილების უფროსი ერეკლე კუპატაძე.

დღის წესრიგი:

1. ქ. თბილისში, მ. ალექსიძის ქ. II შესახვევი N2-ში მდებარე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ 12.47 კვ.მ. ფართის, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ;
2. ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. N6-ში მდებარე, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ფართიდან 01.14.03.042.137 საკადასტრო კოდით დაფიქსირებული ფართის ნაწილზე, დაახლოებით 1000 კვ. მეტრ ფართის ა(ა)იპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის ინსტიტუტისათვის დროებით სარგებლობაში გაცემის შესახებ.

მომხსენებელი: არჩილ კუკულავა

მომხსენებელმა დღის წესრიგში მითითებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით კომისიას მოახსენა:

1. უნივერსიტეტში შემოსულია სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის 2023 წლის 16 მაისის კორესპონდენცია, რომლითაც დასმულია მოთხოვნა ქ. თბილისში, მ. ალექსიძის ქ. II შესახვევი N2-ში მდებარე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ 12.47 კვ.მ. ფართის სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისათვის სარგებლობაში გადაცემის შესახებ იმის გათვალისწინებით, რომ სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა იტერნეტ მომსახურეობას და საგანმანათლებლო სერვისების მიწოდებას უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიაზე და არ გააჩნიათ საკმარისი სასერვერო კარადების რაოდენობა აპარატურის ჩასაყენებლად, რისთვისაც ესაჭიროებათ ფართის გაზრდა.

კომისიის წევრებმა დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მიიღეს დადებითი გადაწყვეტილება.

ერთხმად დაადგინეს: საკითხი განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცეს თსუ-ის წარმომადგენლობით საბჭოს.

მომხსენებელი: ერეკლე კუპატაძე

2. მომხსენებელმა დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით კომისიას მოახსენა, რომ ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. N6-ში მდებარე, უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ფართიდან 01.14.03.042.137 საკადასტრო კოდით დაფიქსირებული ფართის ნაწილზე, დაახლოებით 1000 კვ. მეტრ ფართს ა(ა)იპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის ინსტიტუტი ითხოვს დროებით სარგებლობაში.

კომისიის წევრებმა დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მიიღეს დადებითი გადაწყვეტილება და **ერთხმად დაადგინეს:** ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. N6-ში მდებარე, უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ფართიდან 01.14.03.042.137 საკადასტრო კოდით დაფიქსირებული ფართის ნაწილზე (შენობა N6 (6), N7 (6), არაუმეტეს 1000 კვ.მ. ფართი უსასყიდლოდ, დროებით სარგებლობაში (არაუმეტეს 6 წლის ვადით) გადაეცეს ა(ა)იპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის ინსტიტუტს, ახალი შენობის დასრულებამდე, შესაბამისი დამატებითი პირობებით:

1. უნივერსიტეტის საჭიროების გათვალისწინებით, მისი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოშლა;
2. უნივერსიტეტთან შეთანხმების გარეშე აკრძალულია ნებისმიერი სახის სამუშაოების განხორციელება;
3. ფართში განხორციელებული საქმიანობის პროფილი უნდა იყოს უცვლელი შეთანხმების დღიდან დროებით სარგებლობის დასრულებამდე.

აღნიშნულის გათვალისწინებით საკითხი განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცეს თსუ-ის წარმომადგენლობით საბჭოს.

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიორგი შამათავა

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

არჩილი კუკულავა

დეპარტამენტის უფროსი
იურიდიული დეპარტამენტი

ნინო კუტალაძე

მთავარი სპეციალისტი
იურიდიული დეპარტამენტი

მანონი ჯოჯუა

დეპარტამენტის უფროსი
საფინანსო დეპარტამენტი

ლიანა ღვალაძე

განყოფილების უფროსი
აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილება

მურმანი ცარციძე

ექსპერტი
საფინანსო დეპარტამენტი

ლიანა მჭედლიშვილი

მთავარი სპეციალისტი
სამეურნეო განყოფილება

რუსუდანი ნასარიძე

უფროსის მოადგილე
აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილება

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 15181/10 06/06/2023

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი
საბჭოს სპიკერს ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ განიხილოთ:

1. ქ. თბილისში, მ. ალექსიძის ქ. II შესახვევი N2-ში მდებარე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ 12.47 კვ.მ. ფართის სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციოსისტემისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ(შემოსული დოკუმენტი 8803/10-02 საფუძველზე).
2. ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. N6-ში მდებარე, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ფართიდან 01.14.03.042.137 საკადასტრო კოდით დაფიქსირებული ფართის ნაწილზე, დაახლოებით 1000 კვ. მეტრი ფართის, ა(ა)იპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის ინსტიტუტისათვის დროებით სარგებლობაში გაცემის შესახებს (შემოსული დოკუმენტი 9415/10-02 საფუძველზე).

დანართი: 3 ფაილი

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1. Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფოსტა: chancellery@tsu.ge; E-mail

N 15144/10 06/06/2023

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემისა და საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების გასხვისების საკითხების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის ოქმი

ქ. თბილისი 30 მაისი 2023 წელი

სხდომის თავმჯდომარე- ლაშა საღინაძე
სხდომის მდივანი - ნინო კუტალაძე
სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიორგი შამათავა, არჩილ კუკულავა, მანონი ჯოჯუა, ლია ღვალაძე, რუსუდან ნასარიძე, მურმანი ცარციძე, ლიანა მჭედლიშვილი. აგრეთვე, სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები - მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე იოსებ სოფრომაძე და ამავე დეპარტამენტის სამეურნეო განყოფილების უფროსი ერეკლე კუპატაძე.

დღის წესრიგი:

1. ქ. თბილისში, მ. ალექსიძის ქ. II შესახვევი N2-ში მდებარე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ 12.47 კვ.მ. ფართის, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ;
2. ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. N6-ში მდებარე, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ფართიდან 01.14.03.042.137 საკადასტრო კოდით დაფიქსირებული ფართის ნაწილზე, დაახლოებით 1000 კვ. მეტრ ფართის ა(ა)იპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის ინსტიტუტისათვის დროებით სარგებლობაში გაცემის შესახებ.

მომხსენებელი: არჩილ კუკულავა

მომხსენებელმა დღის წესრიგში მითითებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით კომისიას მოახსენა:

1. უნივერსიტეტში შემოსულია სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის 2023 წლის 16 მაისის კორესპონდენცია, რომლითაც დასმულია მოთხოვნა ქ. თბილისში, მ. ალექსიძის ქ. II შესახვევი N2-ში მდებარე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ 12.47 კვ.მ. ფართის სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისათვის სარგებლობაში გადაცემის შესახებ იმის გათვალისწინებით, რომ სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა იტერნეტ მომსახურეობას და საგანმანათლებლო სერვისების მიწოდებას უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიაზე და არ გააჩნიათ საკმარისი სასერვერო კარადების რაოდენობა აპარატურის ჩასაყენებლად, რისთვისაც ესაჭიროებათ ფართის გაზრდა.

კომისიის წევრებმა დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მიიღეს დადებითი გადაწყვეტილება.

ერთხმად დაადგინეს: საკითხი განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცეს თსუ-ის წარმომადგენლობით საბჭოს.

მომხსენებელი: ერეკლე კუპატაძე

2. მომხსენებელმა დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით კომისიას მოახსენა, რომ ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. N6-ში მდებარე, უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ფართიდან 01.14.03.042.137 საკადასტრო კოდით დაფიქსირებული ფართის ნაწილზე, დაახლოებით 1000 კვ. მეტრ ფართს ა(ა)იპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის ინსტიტუტი ითხოვს დროებით სარგებლობაში.

კომისიის წევრებმა დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მიიღეს დადებითი გადაწყვეტილება და **ერთხმად დაადგინეს:** ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. N6-ში მდებარე, უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ფართიდან 01.14.03.042.137 საკადასტრო კოდით დაფიქსირებული ფართის ნაწილზე (შენობა N6 (6), N7 (6), არაუმეტეს 1000 კვ.მ. ფართი უსასყიდლოდ, დროებით სარგებლობაში (არაუმეტეს 6 წლის ვადით) გადაეცეს ა(ა)იპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის ინსტიტუტს, ახალი შენობის დასრულებამდე, შესაბამისი დამატებითი პირობებით:

1. უნივერსიტეტის საჭიროების გათვალისწინებით, მისი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოშლა;
2. უნივერსიტეტთან შეთანხმების გარეშე აკრძალულია ნებისმიერი სახის სამუშაოების განხორციელება;
3. ფართში განხორციელებული საქმიანობის პროფილი უნდა იყოს უცვლელი შეთანხმების დღიდან დროებით სარგებლობის დასრულებამდე.

აღნიშნულის გათვალისწინებით საკითხი განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცეს თსუ-ის წარმომადგენლობით საბჭოს.

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიორგი შამათავა

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

არჩილი კუკულავა

დეპარტამენტის უფროსი
იურიდიული დეპარტამენტი

ნინო კუტალაძე

მთავარი სპეციალისტი
იურიდიული დეპარტამენტი

მანონი ჯოჯუა

დეპარტამენტის უფროსი
საფინანსო დეპარტამენტი

ლიანა ღვალაძე

განყოფილების უფროსი
აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილება

მურმანი ცარციძე

ექსპერტი
საფინანსო დეპარტამენტი

ლიანა მჭედლიშვილი

მთავარი სპეციალისტი
სამეურნეო განყოფილება

რუსუდანი ნასარიძე

უფროსის მოადგილე
აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილება

ესიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორს,

ბატონ ჯაბა სამუშიას

№32

18 მაისი, 2023 წელი

ბატონო ჯაბა,

გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ „მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებელი" სათავეს იღებს"ქართული საგალობლისა და სიმღერის საერთაშორისო ცენტრიდან", რომელიც 2006 წელს დაფუძნდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა–თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ–აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია მეორის მიერ. სასწავლებელი, რომელიც ქართული საეკლესიო გალობის რეგენტებისა და ხალხური სიმღერის ლოტბარების აღზრდაზე იქნებოდა სპეციალიზირებული, ქართული ტრადიციული მუსიკის მოყვარული საზოგადოებრიობის დიდი ხნის ნატვრა იყო. ამასთან, საქართველოში მართლმადიდებლური სარწმუნოების აღორძინების კვალდაკვალ გაჩნდა მოთხოვნილება ასეულობით ტაძარში პროფესიონალური ჩვევებითა და ცოდნით აღჭურვილ მგალობელთა მსახურებისა.

ა(ა)იპ„მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის" დამფუძნებლის გადაწყვეტილების შესაბამისად, (საქართველოს საპატრიარქოს 2023 წლის 13 თებერვლის ოქმით - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 22 თებერვლის NB23024383/3 გადაწყვეტილება) იგეგმება ა(ა)იპ „მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლისათვის" მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის შეცვლა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტად" ჩამოყალიბება. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვებისა და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით დაწესებულებამ უნდა მოიპოვოს ავტორიზაცია და საგანმანათლებლო პროგრამებმა გაიაროს აკრედიტაცია, რისთვისაც დაწესებულებას ესაჭიროება შესაბამისი სასწავლო ფართი. გასათვალისწინებელია რომ, 2022 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ა(ა)იპ „მართლმადიდებლურ საღვთისმეტყველო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლეს სასწავლებელს" ჩაურიცხა 6 454 273 (ექვსი მილიონ ოთხასორმოცდათოთხმეტი ათას ორასსამოცდაცამეტი) ლარი, სასწავლებლის ახალი შენობის მშენებლობის მიზნით. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები, რომლის დასრულების შემდგომაც სასწავლებელს ექნება თანამედროვე სტანდარტების

თბილისი, ზ. ანჯაფარიძის №21, 032 2 30 65 92; 032 2 30 65 94
infosaeklesiomusika@gmail.com; saeklesiogaloba@yahoo.com
www. galoba.edu.ge
გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებელი

შესაბამისად აღჭურვილი სასწავლო შენობა. ახალი სასწავლო შენობის დასრულებამდე, სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, სასწავლებელს ესაჭიროება სასწავლო ფართი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ განიხილოთ შესაძლებლობა, რათა ა(ა)იპ „მართლმადიდებლურ საღვთისმეტყველო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლეს სასწავლებელს" უსასყიდლოდ, აუქციონის გარეშე, იჯარის ფორმით, დროებით (6 (ექვსი) წლის ვადით) სარგებლობაში გადაეცეს ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. 6 - ში მდებარე, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ფართიდან (ს.კ. 01.14.03.042.137) ნაწილი, დაახლოებით საერთო ფართით - 1000 კვ.მ-დე, ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის" დროებით განთავსების მიზნით.

დანართი: საქართველოს საპატრიარქოს 2023 წლის 13 თებერვლის ოქმი.

პატივისცემით,

სასწავლებლის რექტორი *არქიმანდრიტი იოანე (სილევან) კიკვაძე*

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის
მდივანი
0105, თბილისი, მეფე ერეკლე II მოედ. №1
ტელ: (995 32) 99 03 78; 98 27 09
ფაქსი: (995 32) 98 71 14

SECRETARY OF THE
CATHOLICOS-PATRIARCH
OF ALL GEORGIA
#1 King Erekle II sq. Tbilisi 0105,
Tel: (995 32) 99 03 78; 98 27 09
FAX: (995 32) 98 71 14

№ 613

29 მაისი, 2023 წ.

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს,
ბატონ ჯაბა სამუშიას

ბატონო ჯაბა,

გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ „მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებელი" სათავეს იღებს "ქართული საგალობლისა და სიმღერის საერთაშორისო ცენტრიდან", რომელიც 2006 წელს დაფუძნდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია მეორის მიერ. სასწავლებელი, რომელიც ქართული საეკლესიო გალობის რეგენტებისა და ხალხური სიმღერის ლოტბარების აღზრდაზე იქნებოდა სპეციალიზირებული, ქართული ტრადიციული მუსიკის მოყვარული საზოგადოებრიობის დიდი ხნის ნატვრა იყო. ამასთან, საქართველოში მართლმადიდებლური სარწმუნოების აღორძინების კვალდაკვალ გაჩნდა მოთხოვნილება ასეულობით ტაძარში პროფესიონალური ჩვევებითა და ცოდნით აღჭურვილ მგალობელთა მსახურებისა.

ა(ა)იპ„მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის" დამფუძნებელმა საქართველოს საპატრიარქომ 2022 წლის 13 თებერვალს მიიღო გადაწყვეტილება, რომლის შესაბამისადაც იგეგმება ა(ა)იპ „მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლისათვის" მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის შეცვლა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტად" ჩამოყალიბება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, დაწესებულებამ 2023 წლის 18 მაისის წერილით მოგმართათ თხოვნით, რომ მოახდინოთ ა(ა)იპ „მართლმადიდებლურ საღვთისმეტყველო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლეს სასწავლებელს"-სთვის უსასყიდლოდ, აუქციონის გარეშე, იჯარის ფორმით, დროებით (6 (ექვსი) წლის ვადით) სარგებლობაში ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. 6 - ში მდებარე, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ფართიდან (ს.კ. 01.14.03.042.137) ნაწილი, დაახლოებით საერთო ფართით - 1000 კვ.მ., გადაცემა ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის" დროებით განთავსების მიზნით.

საქართველოს საპატრიარქო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შუამდგომობას აყენებს და მოგმართავთ თხოვნით დააკმაყოფილოთ დაწესებულების თხოვნა, რითაც ხელს შეუწყობთ და დაგვეხმარებით განვახორციელოთ საქართველოში მართლმადიდებლური სარწმუნოების აღორძინება, ახალი პროფესიონალი კადრების გადამზადება, ხალხური სიმღერების ლოტბარების აღზრდა და ტაძარში პროფესიონალური ჩვევებითა და ცოდნით აღჭურვილ მგალობელთა მსახურების დანერგვა.

პატივისცემით,

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ.

პატივისცემით,

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს–პატრიარქის
მდივანი დეკანოზი მიქაელ ბოტკოველი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 10925/10 26/04/2023

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი
საბჭოს სპიკერს ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ განიხილოთ ფიზიკური პირის ვლადიმერ კაკულიას განცხადება (თსუ-ში რეგისტრირებულია ნომრით 5089/10-02, 15.03.2023), რომლის თანახმად, განმცხადებელი გვთავაზობს 3 ერთეული პადელის კორტის ჩუქებას, იმ პირობით, რომ ისინი განთავსდება და მოეწყობა მათივე ხარჯებით, ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩაზე (ნაკვ 06/20) მდებარე უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი 01.14.06.006.133) 900 კვ.მ. მიწის ფართზე და მას საკუთარი კომერციული მიზნებისათვის 10 წლის განმავლობაში გამოიყენებს განმცხადებელი (გასწევს მისი მოვლა-პატრონობის ხარჯებს), ხოლო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის კორტების გამოყენება შესაძლებელი იქნება ყოველდღიურად 5 საათის განმავლობაში უსასყიდლოდ.

დანართი: 4 ელ. ფაილი.

პატივისცემით,

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1. Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფოსტა: chancellery@tsu.ge; E-mail

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის

ადმინისტრაციის ხელმძვანელს ბატონ ლაშა საღინაძეს

მოქალაქე ვლადიმერ კაკულია

ქ, თბილისი , ჭაჭავაძის 50 , vladimerkakulia@yahoo.com

მობილურის # 597970342

განცხადება :

მოგახსენებთ, რომ მზად ვართ უნივერსიტეტს ვაჩუქოთ 3 პადელის სპორტული მოედანი. პადელი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი სპორტია მსოფლიოში. მიუხედავად იმისა, რომ პადელი ახალი სპორტის სახეობაა ის ბევრ ქვეყანაში ძალზედ პოპულარული საჩოგნო სპორტი გახდა. ამის საიდუმლოება იმაში მდგომარეობს, რომ ის განკუთვნილია ყველასთვის და მისი შესწავლა ადვილია.ჩვენი მიზანია ხელი შეუწყოთ პადელის სპორტის განვითარებას და პოპულარიზაციას საქართველოში, განსაკუთრებით კი სტუდენტ ახალგაზრდებში.

ჩვენ შევარჩიეთ ტერიტორია 900 კვ.მ მისამართზე, ქალაქი თბილისი, ქუჩა უნივერისტეტის, ნაკვეთი 06/020. მიწის საკადასტრო კოდი: 01.14.06.006.133 (განცხადებას თან ერთვის 3 პადელის კორტების რენდერი მოცემულ ტერიტორიაზე).

ჩუქება იქნება პირობიანი, ჩვენი კომპანია გამოიყენებს მოცემულ 3 პადელის კორტებს კომერციული საქმიანობისთვის 10 წლის ვადით(10 წლის შემდეგ დარჩება უნივერსიტეტს) ყოველდღიურად 9 სთ დან 24:00 სთ-მდე, მათ შრორის უნივერიტეტს გადაეცემა 5 საათი ყოველღიურად პადელის კორტით სარგებლობის უფლება , სადაც შესაძლებელი იქნება სტუდენტებისთვის და უნივერსიტეტის თანამშრომლებისთვის ისარგებლონ ყოველდღიურად 5 საათის განვალობაში უსასყიდლოდ. ასევე ჩვენ უზრუნველყობთ მოვლა პატრონობას კორეტების 10 წლის განვალობაში.

კორტების აშენების სავარაუდო ღირებულება წარმოადგენს 300 000 ლარს, შესაძლებელია ზუსტი ანგარიშის წარმოდგენა პროექტის შესრულების შემდეგ.

პატივისცემით,

15.03.2023

სარჩევი

02 მოკლედ პადელის შესახებ

08 პადელის კორტების მშენებლობა

14 სპორტული კლუბის 'პადელი თბილისის' დაფუძნება

22 პადელის აკადემიის საქმიანობა

28 სპორტული ღონისძიებების ჩატარება პადელის ჩოგბურთში

28 ჟიული შარტავას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი პადელის ჩოგბურთში

41 ტურნირი 'თბილისის თასი 2022'

46 საერთაშორისო აღიარება

47 'პადელის კლუბი ბადე'

49 სხვა აქტივობები

54 დასკვნის მაგივრ

მოკლედ პადელის შესახებ

პადელი ერთ -ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი სპორტია მსოფლიოში. მიუხედავად იმისა, რომ პადელი ახალი თამაშია, ბევრ ქვეყანაში ის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ,,საჩოგნო'' სპორტი ხდება. ამის საიდუმლოება იმაში მდგომარეობს, რომ ის განკუთვნილია ყველასთვის და მისი შესწავლა ადვილია. პადელი ახლოს დგას ჩოგბურთთან, ოღონდ სრულიად განსხვავებულია მოედნით, ეკიპირებით და თამაშის წესებით. მას განსაკუთრებულ ხიბლს და დინამიზმს ანიჭებს ის, რომ მისი მოედანი შემოსაზღვრულია კედლით (რომელიც სანახევროდ მინისაა) და მისგან ასხლეტილი ბურთი ისევ თამაშში რჩება. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში პადელი გლობალურად გავრცელდა ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ბრაზილია, ურუგვაი, ჩილე, პარაგვაი, აშშ, კანადა, პორტუგალია, ესპანეთი, საფრანგეთი, ბელგია, იტალია, ჰოლანდია, ფინეთი და ა.შ. ამ სპორტის პოპულარობამ ჩოგბურთის სამშობლომდე – დიდ ბრიტანეთამდეც მიაღწია. ამჟამად, ამ სპორტს 30-ზე მეტ ქვეყანაში 20 მილიონზე მეტი მონაწილე მისდევს. იგი ვითარდება საერთაშორისო დონეზე და მას ორგანიზაციას პადელის საერთაშორისო და ევროპის ფედერაციები უწევენ.

საქართველოს პადელის ფედერაცია (სპფ) დაფუძნდა 2021 წლის 15 თებერვალს. დამფუძნებელთა კრების მიერ, მისი საქმიანობის ძირითად მიმართულებებად განისაზღვრა ქვეყანაში პადელის განვითარება "სპორტის შესახებ" საქართველოს კანონისა და პადელის საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული უფლებამოსილების შესაბამისად. საქართველოს პადელის ფედერაცია ევროპის პადელის საერთაშორისო ფედერაციის სრულუფლებიანი წევრი გახდა.



12
VOLVO
WORLD PADEL TOUR

PADEL

PPW
PPW

Estrella
Damm

Babolat

Babolat

პადელის კორტების მშენებლობა

მიმდინარე ეტაპზე ფედერაციის მთავარი საზრუნავი - პადელის სპორტული მოედნების მშენებლობაა. ამ მიზნით ფედერაცია აქტიურად თანამშრომლობს, როგორც დედაქალაქის მუნიციპალიტეტის მერიასთან, ისე სხვა, მსხვილი და საშუალო სიდიდის ქალაქების მუნიციპალიტეტის მერიებთან, კერძო სტრუქტურების ხელმძღვანელებთან.

მიმდინარე წლის 1 ივნისს, ქართული სპორტის ისტორიაში კიდევ ერთი ახალი ფურცელი ჩაიწერა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და კერძო სტრუქტურების ძალისხმევით თბილისში, მთაწმინდის პარკში, გაიხსნა კავკასიის რეგიონში პადელის პირველი საჩოგბურთო მოედანი ორასამდე მაყურებლის ტევადობით. ამის შედეგად პადელის ჩოგბურთს უკვე მრავალი მიმდევარი გამოუჩნდა, როგორც დამწყებ, ისე ვეტერან სპორტსმენებს შორის.

მთაწმინდის პარკში ახლადგახსნილი პადელის კორტი ყველა საერთაშორისო ნორმებს აკმაყოფილებს. პადელის ფედერაციამ, თავის მხრივ, თადარიგი დროულად დაიჭირა და დაინტერესებულ ორგანიზაციასთან ერთად კორტების ასაშენებლად უცხოეთში შეიძინა, შემოიტანა და დაასაწყობა კორტების მოედნების საფარი, ორგ-მინა, ბადეები და სხვ. საჭირო მოწყობილობები. დღეს, ფედერაცია ყოველმხრივ არის მზად, რათა უმოკლეს ვადებში პადელის რამდენიმე თანამედროვე კორტი ჩადგას როგორც დედაქალაქში, ისე რეგიონებში, რაც შესაძლებლობას მისცემს ფედერაციას ინტენსიურად დაიწყოს საქართველოში პადელის სპორტის განვითარება.

სპორტული კლუბის ‘პადელი თბილისის’ დაფუძნება

ქალაქ თბილისში პადელის ჩოგბურთის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი სპორტული კლუბის ,,პადელი თბილისის'' დაფუძნებამ. ეს სპორტული კლუბი საქართველოს პადელის ფედერაციიდან მიღებული უფლებამოსილების შესაბამისად უზრუნველყოფს პადელის მამაკაცთა და ქალთა საქალაქო ნაკრებების შექმნას, ასევე ასაკობრივი ნაკრების ჩამოყალიბებას და განვითარებას; ეროვნული, საკლუბო, საერთაშო-

რისო რანგის შეჯიბრების, მაღალი რანგის საერთაშორისო ტურნირების ჩატარებას, ახლაგაზრდა სპორტსმენთა და მსაჯთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სკოლის შექმნას, სპორტული ინვენტარის შეძენას, დედაქალაქში პადელის სპორტულ-ტექნიკური ბაზების მშენებლობას და სხვ.





პადელის აკადემიის საქმიანობა

საქართველოს პადელის ფედერაციამ (სპფ) ევროპის პადელის საერთაშორისო ფედერაციასთან მჭიდრო თანამშრომლობით გადაწყვიტა, რომ მთაწმინდის პარკის სპორტულ ბაზაზე დაეფუძნებინა პადელის აკადემია, სადაც ქართველი ბავშვები და მოზარდები წარმატებით დაოსტატდებიან სპორტის ამ სახეობაში. მთაწმინდის პარკი, სადაც მოზარდი ახალგაზრდობის აქტიური

დასვენებისთვის შესანიშნავი პირობებია, თავისი უნიკალური მიკრო-ეკოლოგიური გარემოთი და უქმე დღეებში ბავშვების განსკუთრებით დიდი რაოდენობის მოზღვავებით, ამ პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის შესანიშნავ პირობებს ქმნის. სწორედ ამიტომ, მთაწმინდის პარკში, 2022 წლის 20 ივნის მუშაობა დაიწყო პადელის აკადემიამ რომლის მიზანი მაღალი კლასის, კარგი ტექნიკის მქონე პადელის მოთამაშეთა მომზადებაა. აკადემიის სპეციალისტები ყველაფერს აკეთებენ, რათა დაეხმარონ დამწყებ სპორტსმენებს დაეუფლონ თამაშის უახლეს ტექნიკას და ტაქტიკას, აუმაღლონ ზოგადი ფიზიკური მომზადება. მაგრამ მთავარი პრიორიტეტი - ადამიანური თვისებების განვითარებაა.

adidas
PEACE
FREEDOM
LOVE

სპორტული ღონისძიებების ჩატარება პადელის ჩოგბურთში

ჟიული შარტავას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი პადელის ჩოგბურთში

ტურნირი გაიმართა 2022 წლის 21-26 სექტემბერს მთაწმინდის პარკის პადელის ჩოგბურთის კორტზე. შეჯიბრება ჩატარდა ერთ ეტაპად. შეჯიბრებების ორგანიზებისა და ჩატარების საერთო ხელმძღვანელობა განახორციელა საქართველოს პადელის ფედერაციამ (სპფ). ტურნირი რეიტინგული იყო. შეჯიბრება - გუნდური. თანრიგი - მამაკაცები და შერეული წყვილები. ყველა მსურველ გუნდს შეეძლო მონაწილეობა მიიღო შეჯიბრში ასაკობრივი შეზღუდვების გარეშე. გუნდის შემადგენლობა განსაზღვრული იყო: ვაჟთა შორის - ორი კაცი, შერეულ წყვილებში (მიქსტი) 1 კაცი + 1 ქალი. თითოეულ გუნდს ჰყავდა წარმომადგენელი ან კაპიტანი.

შეჯიბრის ზოგად სისტემას განსაზღვრავდა ჟიური (მსაჯთა კოლეგია) შეჯიბრებაზე გამოცხადებული გუნდების რაოდენობის მიხედვით. გუნდების თავდაპირველი განთესვა ბადეში მოხდა წილისყრით.

სულ ტურნირში მონაწილეობა მიიღო მამაკაცების 16 წყვილმა და 4-მა შერეულმა წყვილმა. მათ შორის იყვნენ როგორც, ქართველი ისე უცხოელი მონაწილენი ესპანეთის სამეფოდან და უკრაინიდან. ტურნირში ქალაქ თბილისის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ქალაქების რუსთავისა და გორის სპორტულმა გუნდებმაც. შეჯიბრების ნახევარ ფინალური მატჩები გაიმართა 24 სექტემბერს, ხოლო ფინალური - 25 სექტემბერს.

სამატჩო შეხვედრები ჩატარდა პადელის საერთაშორისო ფედერაციის (პსფ) მიერ შემუშავებული წესების მიხედვით, ხოლო შედეგები შეჯამდა მხოლოდ შეჯიბრებაში მონაწილე გუნდებს შორის მიღწეული წარმატებების (მოგებების) გათვალისწინებით.

1-ლი, მე-2 ადგილების მფლობელი გუნდების დაჯილდოვდნენ დიპლომებით და პრიზებით, რომლებიც მათ გადაეცათ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში - ტურნირის დამთავრების ბოლო დღეს, 26 სექტემბერს. პრიზები გამარჯვებულებს გადასცეს: საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა, ლერი ხაბელოვმა, აფხაზეთის უმა-

ღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, ჯემალ გამახარიამ და ჟიული შარტავას საზოგადოების თავმჯდომარემ, ვახტანგ ყოლბაიამ.

წლის 21-26 სექტემბერს, საქართველოს პირველი ეროვნული გმირის, ჟიული შარტავას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირმა პადელის ჩოგბურთში საქართველოს ეროვნული ერთიანობის თასზე სრულად გაამართლა ტურნირის მიზნები და ამოცანები: მოხდა საქართველოში პადელის ჩოგბურთისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; სპორტული უნარების გაუმჯობესება და უძლიერესი გუნდებისა და ჩოგბურთელების გამოვლენა.

ტურნირის მაღალ დონეზე მომზადებისა და ჩატარებისთვის საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა საქართველოს პადელის ფედერაცია (სპფ) საპატიო დიპლომით და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა.

ᲫᲘᲚᲘ
ᲨᲐᲠᲘᲡᲫᲔᲡ

an National Olympic Committee

ტურნირი ‘თბილისის თასი 2022’

სამოყვარულო ტურნირი ,,თბილისის თასი 2022'' გაიმართა 2022 წლის 8-9 ოქტომბერს, მთაწმინდის პარკის პადელის ჩოგბურთის კორტზე. შეჯიბრება ჩატარდა ერთ ეტაპად. შეჯიბრებების ორგანიზებისა და ჩატარების საერთო ხელმძღვანელობა განახორციელეს საქართველოს პადელის ფედერაციამ (სპფ) და სპორტულმა კლუბმა ,,პადელი თბილისმა''.

ტურნირი ინიცირებული და დაფინანსებული იყო ქალაქ თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ.

შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო ოცდათორმეტმა პადელის ჩოგბურთის მოყვარულთა გუნდმა, აქედან ოცდაოთხი გუნდი იყო მამაკაცების, ხოლო რვა გუნდი კი - შერეულ წყვილთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა.

საპრიზო ადგილები განაწილდა წინასწარ დაგეგმილ კლასებში. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ საპატიო სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით.

LiSi
DEL CL
Babolat
Babolat

TBILISI PADEL CUP
300 ₾

TBILISI PADEL CU
200 ₾

საერთაშორისო აღიარება

საქართველოს პადელის ფედერაციის (სპფ) მიერ განხორციელებული სპორტულ-ორგანიზაციული საქმიანობა ღირსეულად შეაფასა ევროპის პადელის ფედერაციამ (FEPA) რომლის სრულუფლებიანი წევრი საქართველოს პადელის ფედერაცია (სპფ) - სლოვენიისა და თურქეთის პადელის ფედერაციებთან ერთად - 2021 წლის 5 ივლისიდან გახდა.

ევროპის პადელის ფედერაცია არის უმაღლესი ავტორიტეტი და არბიტრი პადელის საკითხთან დაკავშირებით ევროპაში. ის იცავს ევროპის ფედერაციის წევრებს თავისი უფლებებით, ინტერესებით, დამოუკიდებლობითა და იდენტობით; უზრუნველყოფს ევროპული შეჯიბრებების ორგანიზებას და მართვას; სპორტის ტექნიკური ცოდნის შეძენასა და გავრცელებას; ეხმარება პადელის განვითარებას ევროპის მზარდ ქვეყნებში, მეგობრობისა და სპორტული კავშირების განმტკიცებას სხვადასხვა წევრებს შორის და სხვ.

ევროპის ფედერაცია მუდმივად საქმის კურსშია საქართველოს პადელის ფედერაციის საქმიანობის შესახებ და პერიოდულად იძლევა რეკომენდაციებს მუშაობის გაუმჯობესების მიზნით. ფედერაცია დიდი ყურადღებით ეცნობა და სწავლობს იმ მდიდარ გამოცდილებას, რომელიც პადელის სპორტის განვითარების საქმეში აქვთ სახვადასხვა ქვეყნების ფედერაციებსა და მოწინავე სპორტულ კლუბებს.

საუნივერსიტეტო კამპუსში კიდევ ერთი ახალი პადელის მოედანი გაიხსნა და დაფუძნდა ‘პადელის კლუბი ბადე’

21 ნოემბერს კახა ბენდუქიძის საუნივერსიტეტო კამპუსში ორი დახურული პადელის მოედანი გაიხსნა აქვე დაფუძნდა “პადელის კლუბი ბადე” რომელიც ხელს შეუწყობს პადელის სპორტის განვითარებას და პოპულარიზაციას საქართველოში, განსაკუთრებით კი – სტუდენტ ახალგაზრდებში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტში, რომელიც სტუდენტებსა და მათ წარმატებაზე ორიენტირებული, მაღალი რეპუტაციის უმაღლესი სასწავლო დაწესებულება და უმაღლესი განათლების ერთ-ერთი ლიდერია – 6000 სტუდენტი სწავლობს.

სხვა აქტივობები

საქართველოს პადელის ფედერაცია აქტიურად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა სპორტულ ფესტივალებში და ღონისძიებებში რაც ხელს უწყობს პადელის სპორტის პოპულარობას საქართველოში.



PADEL.GE

დასკვნის მაგივრ

2022 წელი საქართველოს პადელის ახლადდაარსებული ფედერაციისთვის ერთობ ნაყოფიერი გამოდგა. თბილისში, კავკასიაში პირველად აშენდა პადელის მოედანი და საფუძველი ჩაეყარა რამდენიმე ახალი კორტის მშენებლობას. დაფუძნდა პადელის პირველი სპორტული კლუბი ,,პადელი თბილისი'' და გაიხსნა ,,პადელის აკადემია''. კავკასიის რეგიონის სპორტულ ისტორიაში პირველად საქართველოში ჩატარდა დიდი ტურნირი, რომელშიც ქართველ სპორტსმენებთან ერთად უცხოელებმაც მიიღეს მონაწილეობა. დაიწყო მწვრთნელთა და მსაჯთა გადამზადება. ფუძნდება ,,ქალ პადელისტთა სპორტული კლუბი'' და მრავალი სხვა.

იმედია, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, პადელის საერთაშორისო ფედერაციების, ქალაქ თბილისის მერიის, აფხაზეთის მთავრობის, სპონსორების და სხვათა დახმარებით პადელის ჩოგბურთი საქართველოში სპორტის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობა გახდება.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

რექტორს ბატონ ჯაბა სამუშიას

ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ბატონ ლაშა საღინაძეს

წარმომადგენლობოითი საბჭოს (სენატი) სპიკერს ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

მოხსენებითი ბარათი

გეგზავნებათ, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 27 აპრილის №96/02-01 ბრძანების საფუძველზე სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ცალკეული უძრავი ქონების გამიჯვნისა და გასხვისებასთან დაკავშირებით დასკვნის (რეკომენდაციის) მომზადების მიზნით შექმნილი კომისიის სხდომის ოქმები (ოქმი №1, ოქმი №2).

დანართი: 7 ფურცელი

პატივისცემით,

მაია ივანიძე

22.05.2023

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) კომისიის სხდომის
ოქმი № 1

ქ. თბილისი 2023 წლის 28 აპრილი

სხდომას ესწრებოდნენ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) წარმომადგენლობითი საბჭოს კომისიის წევრები: **ლაშა საღინაძე** (თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი), **გიორგი შამათავა** (თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე) **მაია ივანიძე** (აკადემიური პერსონალი, იურიდიული ფაკულტეტი, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი); **ნაზირა კაკულია** (აკადემიური პერსონალი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი); **ზურაბ გაიპარაშვილი** (აკადემიური პერსონალი, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი); **ნინო პავლიაშვილი** (აკადემიური პერსონალი, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი),**მარიამ ახალკაციშვილი,** (აკადემიური პერსონალი, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი), **დათო შუბითიძე** (სტუდენტი, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი); **დავით ნებიერიძე** (სტუდენტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი); **საბა ქერქაძე** (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი)

დღის წესრიგი:

1. თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს კომისიის თავმჯდომარის არჩევა;
2. თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს კომისიის მდივნის არჩევა;
3. ქ.თბილისში,უნივერსიტეტის ქუჩაზე ნაკვეთიN06/020, მდებარე უნივერისიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი 01.14.06.006.116) ნაწილის, დაახლოებით 25,800 კვადრატული მეტრის გამიჯვნის, ცალკე მიწის ნაკვეთად რეგისტრაციისა და გასხვისების საკითხის შესწავლა და განხილვა.

თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 28აპრილის სხდომის გადაწყვეტილებით შექმნილი ამავე წარმომადგენლობითი საბჭოს კომისიის **დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.**

1. თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს კომისიის სხდომაზე განიხილეს ამავე კომისიის თავმჯდომარის არჩევის საკითხი. თავმჯდომარის პოზიციაზე დასახელდა მაია ივანიძის კანდიდატურა. გაიმართა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

ერთხმად დაადგინეს:

თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს მაია ივანიძე.

2. თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს სამუშაო ჯგუფის სხდომაზე განიხილეს ამავე კომისიის მდივნის არჩევის საკითხი. მდივნის პოზიციაზე დასახელდა დავით ნებიერიძის კანდიდატურა. გაიმართა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

ერთხმად დაადგინეს:

თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს კომისიის მდივნად აირჩიეს დავით ნებიერიძე.

3. კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოდან შემოსული ნახაზები, ასევე საკადასტრო გეგმა, რომლებიც განხილული იქნა სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ.

   თსუ-ს კანცლერმა ლაშა საღინაძემ კომისიის წევრებს განსახილველი საკითხის ირგვლივ კონკრეტული ინფორმაცია მიაწოდა.

   კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნული საკითხის შესახებ.

   სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ გამოითქვა მოსაზრება უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან ტერიტორიის ნაწილის გამოჯვნის შესახებ, რასაც კომისიის უმრავლესობა დაეთანხმა.

კომისიის წევრების შეხვედრის დროს დაისვა საკითხი, რომ თუკი საუნივერსიტეტო ტერიტორიის გასხვისება (გაყიდვა) მოხდება, როგორ განხორციელდება მიღებული შემოსავლის განაწილება.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ გამოითქვა მოსაზრება, რომ ნაკვეთის გაყიდვასთან დაკავშირებით უნდა მოხდეს პრიორიტეტების სწორად განსაზღვრა. მხოლოდ იმ შეთხვევაში უნდა გაიცეს თანხმობა, თუკი შეიქმნება და მოეწყობა ახალი ინფრასტრუქტურა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გასხვისების არგუმენტად განხილული იქნა ის გარემოება, რომ გასხვისებით შემოსული თანხით იგეგმება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

სამუშაო შეხვედრაზე საბა ქერქაძის მიერ დაისვა კითხვა, თუ რა მოუვიდა იმ მიწიდან მიღებულ შემოსავალს, რომელიც 2011 წელს გაიყიდა. ამ შეკითხვასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის კანცლერმა სამუშაო ჯგუფის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ეს ტერიტორია იმ დროისთვის აღარ იყო უნივერსიტეტის საკუთრებაში, შესაბამისად ეს მიწა უნივერსიტეტს არ გაუყიდია.

საბა ქერქაძემ ასევე ისაუბრა ეკონომიკურ პოლიტიკასთან დაკავშირებით. მისივე მოსაზრებით, „უნივერსიტეტში უნდა შეიქმნას პრეცენდენტი რომ უნივერსიტეტი არ გაყიდის მის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიას".

საბა ქერქაძემ აღნიშნა, რომ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით უნდა მოხდეს უნივერსიტეტის რექტორის ჯაბა სამუშიას ალტერნატიული შემოთავაზების გაცნობა. გამოითქვა მოსაზრება, რომ თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს მომდევნო სხდომაზე შესაძლებელია, როგორც კომისიის დასკვნის გაცნობა, ასევე აღნიშნული საკითხის მოსმენა.

სხდომის წევრებმა გამოთქვეს სურვილი, რომ ჩატარდეს სამუშო ჯგუფის კიდევ ერთი შეხვედრა, რა დროსაც მოხდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის დათვალიერება. (საკადასტრო კოდი(01.14.06.006.116)

ერთხმად დაადგინეს:

1. თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს კომისიის მომდევნო სხდომა,სადაც იმავდროულად მოხდება მიწის ნაკვეთის დათვალიერება, გაიმართოს 2023 წლის 5 მაისს, პარასკევს, 16:00 საათზე;

კომისიის თავმჯდომარე /მაია ივანიძე/

კომისიის მდივანი /დავით ნებიერიძე/

ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე (ნაკვეთი № 06.020), მდებარე უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი 01.14. 06. 006.116), გადაღებულია ფოტომასალა.

კომისიის რამდენიმე წევრმა დათვალიერა, როგორც არსებული მიწის ნაკვეთი, ასევე ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორია. უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს სამივე მხრიდან ესაზღვრება კერძო და საჯარო სასაფლაოს ტერიტორია, გარკვეულ ნაწილში გადის მიწისქვეშა გაყვანილობა (წყლის მაგისტრალი), თავად ტერიტორია დაფარულია სხვადასხვა სახის ნარჩენით. აღსანიშნავია, რომ გასასხვისებელი ტერიტორიის წინ მდებარეობს მიწის ნაკვეთი, რომელიც თსუ ბიბლიოთეკის ცენტრალური კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაა. აღნიშნული ტერიტორია საუკეთესოა უნივერსიტეტის სამომავლო მიზნებისთვის.

ერთხმად დაადგინეს: დათვალიერების შედეგები აისახოს კომისიის წევრების მიერ საუნივერსიტეტო ქონების გასხვისების თაობაზე მსჯელობისას.

2. თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოდან შემოსული დოკუმენტაციის (უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი 01.14.06.006.116) ნახაზების, ასევე საკადასტრო გეგმის გაცნობისა და აღნიშნული მიწის ნაკვეთის დათვალიერების შედეგად კომისიის წევრებმა იმსჯელეს უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან ნაწილის (დაახლოებით 25, 800 კვადრატული მეტრის) გამიჯვნის, ცალკე მიწის ნაკვეთად რეგისტრაციისა და გასხვისების შესახებ.

ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით, კომისიის წევრებმა ერთხმად აღნიშნეს: არსებული მასალების საგანგებო შესწავლამ ცხადყო, რომ უნივერსიტეტის ქონების გასხვისების საჭიროება განპირობებულია საკითხის მიზანშეწონილობიდან გამომდინარე.

გასხვისებული თანხებით იგეგმება უნივერსიტეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

ასევე, თსუ ბიბლიოთეკის ცენტრალური კორპუსის რემონტი და საბიბლიოთეკო უსაფრთხოების ტექნიკით აღჭურვა.

ეს ყოველივე კი შესაძლებელი გახდება მიწის ნაკვეთის გასხვისებით შემოსული თანხებით. დასახელებულ მიწის ნაკვეთზე ამჟამად უნივერსიტეტის მიერ შეუძლებელია რაიმე სახის მშენებლობა (შესაბამისი თანხების არარსებობისა და მიწის ნაკვეთის მდებარეობის გამო).

გასხვისება უნდა მოხდეს იმ მიზეზითაც, რომ უნივერსიტეტის მიერ ამჟამად ვერ მოხდება ამ მიწის ნაკვეთის ათვისება.

ერთხმად დაადგინეს: კომისიის წევრები დაეთანხმნენ, რომ გაიმიჯნოს და გასხვისდეს უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან ნაწილი, დაახლოებით 25, 800 კვადრატული მეტრი, როგორც ცალკე მიწის ნაკვეთი. ასევე გასხვისების პირობებში სავალდებულო პირობად ჩაიდოს, რომ მყიდველმა უზრუნველყოს საზღვრის გასწვრივ გამყოფი ღობე-კედლის აშენება, რომელიც იურიდიულ გამიჯვნასთან ერთად, ფიზიკურადაც გამიჯნავს ტერიტორიებს.

თსუ წარმომადგენლობითმა საბჭომ რეკომენდაციების სახით დაამტკიცოს შემდეგი:

1. გაიმიჯნოს და გასხვისდეს უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან ნაწილი, დაახლოებით 25, 800 კვადრატული მეტრი, როგორც ცალკე მიწის ნაკვეთი. აშენდეს კედელი (ღობე), რომელიც იურიდიულ გამიჯვნასთან ერთად, ტერიტორიებს გამიჯნავს ფიზიკურადაც.
2. გასხვისების შემთხვევაში სწორად განისაზღვროს პრიორიტეტები და უნივერსიტეტის საჭიროებები. შემოსული თანხებით მიზანშეწონილია უნივერსიტეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება(თანხის ნაწილი შესაძლოა მიმართული იყოს საუნივერსიტეტო კლინიკის შესაძენად).
3. სასურველია, სამომავლოდ თსუ ცენტრალური ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორიაზე აშენდეს სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი კორპუსი და მოეწყოს სპორტული მოედანი.

კომისიის თავმჯდომარე /მაია ივანიძე/

კომისიის მდივანი /დავით ნებიერიძე/

N 9105/28 04/04/2023

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს
თავმჯდომარეს, ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

გაცნობებთ, რომ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭომ მიიღო დადგენილება ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. გთხოვთ გაიტანოთ ეს ცვლილებები უახლოესი წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

ამონაწერი ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან თან ერთვის.

პატივისცემით,

რამაზ ხომერიკი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი
ადმინისტრაცია

ამონაწერი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2023 წლის 21 მარტის სხდომის

#4 ოქმიდან

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2023 წლის 21 მარტს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 29 წევრი, სხდომას ესწრებოდა 22 წევრი. სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი ვაჟა ტრაპაიძე, გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, ასოცირებული პროფესორი გურამ ქუთელია, ასოცირებული პროფესორი ნ.გაჩეჩილაძე, ფაკულტეტის კანცელარიის უფროსი შ.ჩუბინიძე. სხდომაზე მოწვეული იყო თსუ იურიდიული დეპარეტამენტის უფროსი ა.კუკულავა.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. უნივერსიტეტის შინაგანაწესში ცვლილებების შეტანის შესახებ;
2. მიმდინარე საკითხები.

2. დღის წესრიგის მეორე - მიმდინარე საკითხებში განხილული იყო:

გ) ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტში ორი ლაბორატორიის შექმნის შესახებ.

გ) მოისმინეს: ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის ინფორმაცია ფიზიკის დეპარტამენტში ორი ლაბორატორიის - თანამედროვე ფიზიკური ექსპერიმენტის მეთოდებისა და მოდელირების სასწავლო ლაბორატორიების შექმნის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ნ.შათაშვილმა. მან აღნიშნა, რომ ლაბორატორიები განთავსებული იქნება მათ ყოფილ ოთახებში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტში ზემოხსენებული ორი ლაბორატორიის შექმნის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: საკითხი დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტში შეიქმნას:

- თანამედროვე ფიზიკური ექსპერიმენტის მეთოდების ლაბორატორია;
- მოდელირების სასწავლო ლაბორატორია.

შესაბამისად შევიდეს დამატება ფაკულტეტის დებულების 36-ე მუხლის მე-3 პუნქტში და დაემატოს ქვეპუნქტები:

ს) თანამედროვე ფიზიკური ექსპერიმენტის მეთოდების ლაბორატორია;

ტ) მოდელირების სასწავლო ლაბორატორია.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,

ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 2

ქ. თბილისი 2023 წლის 5 მაისი

სხდომას ესწრებოდნენ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) წარმომადგენლობითი საბჭოს კომისიის წევრები:
ლაშა საღინაძე -თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, **გიორგი შამათავა**(თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე),**ზურაბ გაიპარაშვილი**(აკადემიური პერსონალი, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი),**მაია ივანიძე**(აკადემიური პერსონალი, იურიდიული ფაკულტეტი, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი), **ნაზირა კაკულია** (აკადემიური პერსონალი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი), **ნინო პავლიაშვილი** (აკადემიური პერსონალი, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი), **დავით ნებიერიძე**(სტუდენტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი), **მარიამ ახალკაციშვილი**(აკადემიური პერსონალი,ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი), **მაკა მურვანიძე** (აკადემიური პერსონალი, ზუსტ და საბუნებისმეტყველომეცნიერებათა ფაკულტეტი, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი),**გიორგი არქანია**(ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი).

დღის წესრიგი:

1. ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე (ნაკვეთი № 06.020), უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი 01.14. 06. 006.116) ნაწილის დათვალიერება კომისიის წევრების მიერ.
2. კომისიის წევრების მიერ ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე(ნაკვეთი № 06,020), მდებარე უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი 01.14.06.006.116) ნაწილის-დაახლოებით 25,800 კვადრატული მეტრის - გამიჯვნის, ცალკე მიწის ნაკვეთად რეგისტრაციისა და გასხვისების საკითხის განხილვა.

თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს კომისიის დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. თსუ კანცლერმა ლაშა საღინაძემ, თსუ კანცლერის მოადგილე გიორგი შამათავამ და წარმომადგენლობითი საბჭოს სამუშაო კომისიის წევრებმა დაათვალიერეს

„სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის (წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 4 აპრილი სხდომის N3 ოქმით დამტკიცებული) დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

შევიდეს ცვლილება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულების (წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 4 აპრილი სხდომის N3 ოქმი) მუხლი 3. პუნქტი 2, ქვეპუნქტი კ);

მუხლი 4, პუნქტი 12 და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 3, პუნქტი 2, ქვეპუნქტი კ):

„კ) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და უახლესი ისტორიის პერიოდის არქივების შემსწავლელი განყოფილება“.

მუხლი 4, პუნქტი 12:

„12. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და უახლესი ისტორიის პერიოდის არქივების შემსწავლელი განყოფილების ფუნქციებია:

ა) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში შექმნილი საბიბლიოთეკო–საარქივო დოკუმენტებისა და უახლესი ისტორიის პერიოდის გამოჩენილ პირთა, მეცნიერთა, და ხელოვანთა პირადი არქივების მოძიება, შესწავლა-დამუშავება, შენახვა;

ბ) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და უახლესი ისტორიის პერიოდის გამოჩენილ პირთა, მეცნიერთა, და ხელოვანთა პირადი არქივების შესახებ პუბლიკაციების სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანის ხელშეწყობა.

გ) სამეცნიერო კვლევის ხელშეწყობა;

დ) გამოფენების, კონფერენციების, პუბლიკაციებისა და გამოცემების მომზადება;

ე) საბიბლიოთეკო–საარქივო ფონდების აღწერა, შესწავლა, ჯამობრივ და ინვენტარის ჟურნალებში გატარება;

ვ) საარქივო დოკუმენტების ტექნიკურად დამუშავება და კლასიფიცირება;

ზ) ელექტრონულ კატალოგში საბიბლიოთეკო დოკუმენტების მონაცემების შეტანა.“

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 11907/10 04/05/2023

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს
ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

წარმოგიდგენთ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულებაში ცვლილების პროექტს.
აღნიშნული პროექტი არ ითვალისწინებს თსუ ბიუჯეტში ცვლილებას.
გთხოვთ, განიხილოთ.

პატივისცემით,

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1. Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფაქსი: chancellery@tsu.ge; E-mail

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დებულება

(პროექტი)

მუხლი 1.ზოგადი დებულებანი

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – ,,უნივერსიტეტი") საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი (შემდგომში - ,,დეპარტამენტი") წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულს.

2. დეპარტამენტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.

3. დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდასამართლებრივი აქტების საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე.

მუხლი 2. დეპარტამენტის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. დეპარტამენტის ძირითადი საქმიანობის სფეროა უნივერსიტეტის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ეფექტური სისტემის შექმნა, საზოგადოებასთან სხვადასხვა სახის აქტიური ურთიერთობა, მათ შორის თანამშრომლობა, ასევე უნივერსიტეტისა და მასში მიმდინარე მოვლენების საზოგადოების წინაშე ობიექტურად წარმოჩენა. ასევე, უნივერსიტეტის იმიჯისა და ცნობადობის ამაღლება.

2. დეპარტამენტის ამოცანებია:

ა) უზრუნველყოს უნივერსიტეტის საქმიანობის სხვადასხვა სფეროში პოპულარიზაცია;

ბ) უზრუნველყოს სასწავლო-სამეცნიერო პროცესების, დაგეგმილი ან განხორციელებული სხვადასხვა ღონისძიებების საჯაროობა;

გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს, წარმომადგენლობითი საბჭოს, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებების, ბრძანებებისა და სხვა სამართლებრივი აქტების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებული პირთათვის;

დ) უნივერსიტეტის, მასში შემავალი ფაკულტეტების/ინსტიტუტების/ცენტრების და ა.შ. მრავალმხრივი საქმიანობის (სიახლეების, მოვლენების, პროცესების, პრობლემების) გაშუქება/ანალიზი;

ე) სტუდენტური ცხოვრების მრავალმხრივი ასპექტით გაშუქება/ანალიზი; წარმატებულ სტუდენტთა პოპულარიზაცია; ასევე, უნივერსიტეტის წარმატებულ კურსდამთავრებულთა პოპულარიზაცია.

3. დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) შიდასაუნივერსიტეტო კომუნიკაციების უზრუნველყოფა;

ბ) თავისი კომპეტენციისა და უფლებამოსილებების ფარგლებში სახელისუფლებო სტრუქტურებთან, სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებთან, არასამთავრობო და სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ურთიერთობა, ერთობლივი პროექტების განხორციელება;

გ) უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების, მათი საქმიანობის, ასევე აკადემიური პერსონალის პოპულარიზაცია;

დ) საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლების რექტორთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან შეხვედრის დაგეგმვა - განხორციელება;

ე) საჭიროებისამებრ პრესკონფერენციების, საგანგებო ბრიფინგების, ინტერვიუების, ასევე სემინარებისა და ტრეინინგების ორგანიზება;

ვ) განხორციელებული პროექტების შეფასება და შედეგების მიხედვით მომდევნო ღონისძიებების დაგეგმვის გაუმჯობესება;

ზ) შემოსული პროექტების განხილვა და მათი განხორციელების ან განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ რეკომენდაციების შემუშავება;

თ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში უნივერსიტეტის ვებგვერდის მართვა, ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსება.

ი) ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებითა ან/და შეთანხმებით უნივერსიტეტის სახელით ოფიციალური მიმართვებისა და განცხადებების გამოქვეყნება;

კ) უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურების მიერ უნივერსიტეტის ლოგოს გამოყენებაზე, საიმიჯო ბეჭდვითი მასალის და სხვა ატრიბუტიკის დამზადების პროცესის კოორდინაცია;

ლ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში სხვა საქმიანობის განხორციელება, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, უნივერსიტეტის სამართლებრივ აქტებსა და წინამდებარე დებულებას;

მ) გაზეთ ,,თბილისის უნივერსიტეტის" ვებგვერდის ყოველდღიური წარმოება და გაზეთის როგორც წესი თვეში ერთხელ გამოცემა, ასევე, ამ ორ მიმართულებასთან დაკავშირებული საქმიანობების განხორციელება: ინფორმაციის მოძიება, გადამოწმება, მისი დამუშავება, ტექნიკური გამართვა, გავრცელება, ელექტრონული გავრცელება და სხვა.

მუხლი 3. დეპარტამენტის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

1. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დეპარტამენტის უფროსი.

2. დეპარტამენტის უფროსს რექტორთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

3. დეპარტამენტს უფროსს ჰყავს უფროსის **მოადგილე** და უფროსის მოადგილე - გაზეთ ,,თბილისის უნივერისტეტის" რედაქტორი (შემდგომში - ,,გაზეთის რედაქტორი").

4. დეპარტამენტის უფროსის მოადგილესა და თანამშრომლებს თანამდებობებზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, დეპარტამენტის უფროსის წარდგინებით.

5. დეპარტამენტის უფროსის დროებით არყოფნის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა, დროებით - 2 დღეზე მეტი ვადით არყოფნა), აგრეთვე დეპარტამენტის უფროსის დავალების შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

6. დეპარტამენტის უფროსთან და გაზეთის რედაქტორთან ერთად, გაზეთ „თბილისის უნივერისტეტის პოლიტიკასა და სტრატეგიას შეიმუშავებს სათათბირო ორგანო - სარედაქციო კოლეგია, რომელიც შედგება უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანების მიერ წარდგენილი ორ-ორი წევრისგან, უნივერისტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელისგან და დეპარტამენტის თანამშრომლისგან საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში.

7. დეპარტამენტის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს დეპარტამენტის საქმიანობას;

ბ) განსაზღვრავს დეპარტამენტის საქმიანობის პრიორიტეტებს და პასუხისმგებელია მათ განხორციელებაზე;

გ) ახდენს დეპარტამენტის ფუნქციების განხორციელებისათვის ძირითადი სამუშაობის დაგეგმვას;

დ) ანაწილებს ფუნქციებს დეპარტამენტის თანამშრომლებს შორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციის შესაბამისად, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

ე) ზედამხედველობს დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას, ახორციელებს მათ მიერ უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესრულების კონტროლს;

ვ) ხელს აწერს დეპარტამენტში მომზადებულ დოკუმენტებს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ შემუშავებულ სამართლებრივი აქტების პროექტების ვიზირებას;

ზ) წარადგენს ანგარიშს დეპარტამენტის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველწლიურად, აგრეთვე ნებისმიერ დროს უნივერსიტეტის რექტორის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებით;

თ) ორგანიზებას უწევს ამ დებულებით დეპარტამენტისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის მიზნით;

ი) წარუდგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინადადებებს დეპარტამენტის შიდა სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზაციის, დეპარტამენტის თანამშრომლების წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

კ) პერიოდულად ისმენს დეპარტამენტის თანამშრომლების ანგარიშს მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;

ლ) ახორციელებს წინამდებარე დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

8. დეპარტამენტის უფროსის მოადგილე:

ა) ხელს უწყობს დეპარტამენტის უფროსს მასზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელების დაგეგმვა -კოორდინაციასა და ორგანიზაციაში;

ბ) ახორციელებს შიდა საუნივერსიტეტო კომუნიკაციას;

გ) კოორდინაციას უწევს დეპარტამენტის დოკუმენტაციის წარმოებას;

დ) ახორციელებს საუნივერსიტეტო ღონისძიებების დაგეგმვას.

9. გაზეთის რედაქტორი:

ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელმძღვანელობს და წარმართავს რედაქციის საქმიანობას;

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გაზეთ ,,თბილისის უნივერისტეტის" სარედაქციო კოლეგიასთან ერთად განსაზღვრავს რედაქციის პოლიტიკასა და მიმართულებას; წარმართავს სარედაქციო კოლეგიის მუშაობას, განიხილავს და ამუშავებს კოლეგიის წევრთა ინიციატივებსა და რეკომენდაციებს; უზრუნველყოფს სასწავლო წლის განმავლობაში არანაკლებ 2-ჯერ სარედაქციო კოლეგიის სხდომის ჩატარებას;

გ) პასუხისმგებელია რედაქციისთვის დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;

დ) დეპარტამენტის **უფროსთან** ერთად ამუშავებს გაზეთის ნომრის სამუშაო გეგმას;

ე) ანაწილებს დავალებებს გაზეთის რედაქციის თანამშრომლებს შორის;

ვ) ახორციელებს ვებგვერდის წარმოებისთვის და გაზეთის გამოცემისთვის შესაბამისი ჟურნალისტური პროდუქციის რედაქტირების პროცესს;

ზ) გამოხატავს პოზიციას ჟურნალისტური პროდუქციის რედაქტირების საჭიროებასა და სხვა საკითხებზე, თუმცა რედაქცია და დეპარტამენტი პასუხს არ აგებს ცალკეულ ჟურნალისტურ პროდუქტში (სტატია და ა.შ.) ჟურნალისტის მიერ დაუზუსტებელი ინფორმაციის გავრცელებაზე;

თ) თავის და რედაქციის საქმიანობასთან ანგარიშს აბარებს დეპარტამენტის უფროსს;

ი) მონაწილეობს საგაზეთო პროდუქციის (სტატია და ა.შ.) შექმნის პროცესში. ასევე უზრუნველყოფს წარმოებული პროდუქციის გავრცელებას ვებგვერდის საშუალებით;

კ) ხელს უწყობს სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფის ჩამოყალიბებას; ჟურნალისტიკაში დაოსტატების მსურველ სტუდენტებს აძლევს სამუშაო გეგმით გათვალისწინებულ

დავალებებს და უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ კვალიფიციურად მომზადებული პროდუქციის გავრცელებას ვებგვერდსა და გაზეთში.

10. დეპარტამენტისათვის უნივერსიტეტის საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამდებობებია: დეპარტამენტის უფროსი, დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (გაზეთის რედაქტორი), მთავარი სპეციალისტი (I კატეგორია) და წამყვანი სპეციალისტი.

11. დეპარტამენტის საქმიანობის სპეციფიკიდან და საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადით შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მოწვევა.

მუხლი 4. დეპარტამენტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

დეპარტამენტის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. დებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

N 14322/10 29/05/2023

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი
საბჭოს სპიკერს, ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ძირითადი საქმიანობის სფეროა უნივერსიტეტის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ეფექტური სისტემის შექმნა, საზოგადოებასთან სხვადასხვა სახის აქტიური ურთიერთობა, მათ შორის თანამშრომლობა, ასევე უნივერსიტეტისა და მასში მიმდინარე მოვლენების საზოგადოების წინაშე ობიექტურად წარმოჩენა. დეპარტამენტის ფუნქციებია:

• შიდასაუნივერსიტეტო კომუნიკაციების უზრუნველყოფა;

• თავისი კომპეტენციისა და უფლებამოსილებების ფარგლებში სახელისუფლებო სტრუქტურებთან, სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებთან, არასამთავრობო და სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ურთიერთობა, ერთობლივი პროექტების განხორციელება;

• უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების, მათი საქმიანობის, ასევე აკადემიური პერსონალის პოპულარიზაცია;

• საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლების რექტორთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან შეხვედრის დაგეგმვა - განხორციელება;
• საჭიროებისამებრ პრესკონფერენციების, საგანგებო ბრიფინგების, ინტერვიუების, ასევე სემინარებისა და ტრეინინგების ორგანიზება;
• განხორციელებული პროექტების შეფასება და შედეგების მიხედვით მომდევნო ღონისძიებების დაგეგმვის გაუმჯობესება;
• შემოსული პროექტების განხილვა და მათი განხორციელების ან განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ რეკომენდაციების შემუშავება;
• თავისი კომპეტენციის ფარგლებში უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მართვა, ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსება.
• ხელმძღვანელის დავალებითა ან/და შეთანხმებით უნივერსიტეტის სახელით ოფიციალური მიმართვებისა და განცხადებების გამოქვეყნება;

• უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურების მიერ უნივერსიტეტის ლოგოს გამოყენებაზე, საიმიჯო ბეჭდვითი მასალის და სხვა ატრიბუტიკის დამზადების პროცესის კოორდინაცია.
• თავისი კომპეტენციის ფარგლებში სხვა საქმიანობის განხორციელება, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, უნივერსიტეტის სამართლებრივ აქტებსა და წინამდებარე დებულებას.

უნივერისტეტის პუბლიცისტიკისა და ელექტრონული მედია ცენტრის ფუნქციას კი წარმოადგენს თსუ-ის მრავალმხრივი საქმიანობის თაობაზე საზოგადოების ყოვლისმომცველი ინფორმირებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა; ასევე, თსუ-ის იმიჯისა და ცნობადობის ამაღლება. ცენტრის ძირითადი ამოცანებია:
• თსუ-ის საინფორმაციო-შემოქმედებითი უზრუნველყოფა, რაც ითვალისწინებს უნივერსიტეტის საიმიჯო მახასიათებლების პოპულარიზაციას პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სოციალურ-კულტურულ და საგანმანათლებლო-შემეცნებით ჭრილში;
• თსუ-ის, მასში შემავალი ფაკულტეტების/ინსტიტუტების/ცენტრების და ა.შ. მრავალმხრივი საქმიანობის (სიახლეების, მოვლენების, პროცესების, პრობლემების) გაშუქება/ანალიზი;
• მეცნიერების (ყველა დარგის) და მეცნიერ-მკვლევართა (დოქტორანტების, პოსტდოქტორანტების, პროფესორ-მასწავლებლების), ასევე უნივერსიტეტის დამაარსებელთა, სამეცნიერო სკოლების ფუძემდებელთა, ღვაწლმოსილ მეცნიერთა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პოპულარიზაცია;
• სტუდენტური ცხოვრების მრავალმხრივი ასპექტით გაშუქება/ანალიზი; წარმატებულ სტუდენტთა პოპულარიზაცია;
• სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა;
• საუნივერსიტეტო საექსპერტო პოზიციების (სფეროების მიხედვით) სტიმულირება და წარმოჩენა;
• საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო გამოცდილების გაზიარება;
• განათლებისა და მეცნიერების სფეროში საჯარო ლექციების, დისკუსიებისა და დებატების სტიმულირება/გაშუქება;
• საზოგადოების კონსულტირება/პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება სხვადასხვა სფეროში; • უნივერსიტეტის წარმატებულ კურსდამთავრებულთა პოპულარიზაცია; ახალგაზრდა კადრების დაოსტატება ჟურნალისტიკის სფეროში;
• საუნივერსიტეტო ტელე-ფოტო არქივის (,,ოქროს ფონდი“) განვითარება/გაფართოება.

ნახსენები ამოცანების რეალიზებას ცენტრი ახორციელებს ქვემოთმოცემული გზების (ფუნქციები) მეშვეობით:

ა) გაზეთ ,,თბილისის უნივერსიტეტის” გამოცემა და მასთან დაკავშირებული საქმიანობების განხორციელება: ინფორმაციის მოძიება, გადამოწმება, მისი დამუშავება, ტექნიკური გამართვა, გავრცელება/რეალიზაცია, ელექტრონული გავრცელება და სხვ.

ბ) სატელევიზიო გადაცემების/დოკუმენტური ფილმების/საჯარო ლექციების/სიუჟეტების გადაღება/მომზადება, მათი სატელევიზიო სივრცეში გავრცელების უზრუნველყოფა;

გ) კრებულების მომზადება, გამოცემა და გავრცელება.

ზემოაღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი და პუბლიცისტიკისა და ელექტრონული მედია ცენტრი - ორივე ემსახურება უნივერსიტეტის მრავალმხრივი საქმიანობის საიმიჯო კამპანიის წარმოებას.

იქიდან გამომდინარე, რომ დღევანდელი ფორმით არსებული ჩვენი სატელევიზიო მიმართულება და კრებულების მომზადება ვეღარ აკმაყოფილებს უნივერსიტეტის მზარდ მოთხოვნილებებს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეწყდეს ტელემიმართულებისა და კრებულების წარმოების ფუნქციონირება (ცენტრის ფუნქციების ,,ბ“ და ,,გ“ ქვეპუნქტი) და, ორგანიზაციული ცვლილებების სახით, გაზეთ ,,თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქცია დაექვემდებაროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს, გახდეს მისი შემადგენელი ნაწილი და ცენტრის ძირითადი ამოცანების შესრულება უზრუნველყოფილი იქნას საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ფარგლებში ორგანიზებული საქმიანობისა და მენეჯმენტის პირობებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა ასევე შეიცვალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დებულება, რომელიც გაითვალისწინებს შემოთავაზებულ სიახლეებს, რაც ავტომატურად გამოიწვევს პუბლიცისტიკისა და ელექტრონული მედია ცენტრის დებულების გაუქმებას (საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ახალი დებულების პროექტი, დანართი N1). ბუნებრივია, ასეთ პირობებში აუცილებელი ხდება უნივერსიტეტის საშტატო განრიგისა (შესაბამის ნაწილში) და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის შესაბამის თანამდებობათა სამუშაო აღწერილობების ცვლილება, რაშიც გათვალისწინებული იქნება (საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ახალ დებულებასთან შესაბამისობის პირობებში) ცენტრის ზემოთმოყვანილი ფუნქციების ,,ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სახით საქმიანობის უწყვეტი უზრუნველყოფისათვის აუცილებელი თანამდებობებიც. ზემოხსენებული (შრომის ახლებური ორგანიზაციული მოწესრიგება) არ მოახდენს უნივერისტეტის ბიუჯეტის ზრდაზე ზეგავლენას. ამავე დროს ცენტრის ის ამჟამინდელი პერსონალი, რომელიც, თავისი შრომის ხელშეკრულებისა და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფუნქციური დატვირთვის მიხედვით დაკავებულია უშუალოდ სატელევიზიო გადაცემების/დოკუმენტური ფილმების/საჯარო ლექციების/სიუჟეტების გადაღება/მომზადებასა და მათ სატელევიზიო სივრცეში გავრცელების უზრუნველყოფასთან, ისევე, როგორც პერსონალი, რომელიც, თავისი შრომის ხელშეკრულებისა და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფუნქციური დატვირთვის მიხედვით დაკავებულია უშუალოდ კრებულების მომზადება, გამოცემასა და გავრცელებასთან ავტომატურად კარგავს თავიანთ შრომით დატვირთვას, რადგან უნივერსიტეტის მიერ შესაბამისი საქმიანობის შეწყვეტასთან ერთად წყდება მათი შრომითი საქმიანობის აუცილებლობაც. ამასთან, ამგვარი შინაარსობრივი ფუნქციური საქმიანობა უნივერსიტეტის ფარგლებში არ ხორციელდება და არ არსებობს შესაბამისი სამსახურებრივი ფუნქციები, რომლებითაც შესაძლებელია დატვირთული იქნას ნახსენები პერსონალი. ცენტრის ის პერსონალი, რომელიც თავიანთი თანამდებობისა და შრომის ხელშეკრულების, ასევე, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფუნქციური დატვირთვის მიხედვით დაკავებულია უშუალოდ გაზეთ ,,თბილისის უნივერსიტეტის” გამოცემის და მასთან დაკავშირებული საქმიანობების განხორციელებაში (ინფორმაციის მოძიება, გადამოწმება, მისი დამუშავება, ტექნიკური გამართვა, გავრცელება/რეალიზაცია, ელექტრონული გავრცელება და სხვ.) შრომით საქმიანობას გააგრძელებს იგივე ფუნქციური დატვირთვით საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ფარგლებში, რაზედაც მათი მხრიდან გამოხატულია წერილობითი თანხმობა.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის'' წესდების მე-5 მუხლის მე-10 პუნქტისა და მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის თანახმად, მიზანშეწონილია:

1. უნივერისტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურაში შევიდეს ცვლილება, ამოღებული იქნას სტრუქტურული ერთეული უნივერისტეტის პუბლიცისტიკისა და ელექტრონული მედია ცენტრი;

2. ძალადაკარგულად იქნას ცნობილი აღნიშნული ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე წარმომადგენლობით საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილება;

3. უნივერისტეტის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დებულება დამტკიცდეს ახალი რედაქციით.

დანართი: 1 ელ. ფაილი.

ჯაბა სამუშია

რექტორი, აკადემიკოსი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებ"-ში (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 25 დეკემბრის N4 სხდომის ოქმით) შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-10 და მე-11 პუნქტები:

,,10. უნივერსიტეტის პერსონალს მისთვის განსაზღვრული სამუშაო საათების განმავლობაში უფლება არ აქვს განახორციელოს შეთავსებითი შრომითი საქმიანობა, როგორც უნივერისტეტის ფარგლებს გარეთ, ისე უნივერსიტეტის ფარგლებში, გარდა წინამდებარე შინაგანაწესით განსაზღვრული შემთხვევებისა.

11. თსუ-ის იმ პერსონალს, ვისი სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო (ხანგრძლივობა) განისაზღვრება 09^{00} საათიდან 18^{00} საათამდე **(ყოველი სამუშაო კვირის პარასკევ დღეს ან საქართველოს ორგანული კანონი - საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული უქმე დღეების წინა სამუშაო დღეს - 09^{00} საათიდან 17 ^{00} საათამდე),** უფლება ეძლევათ განახორციელონ უნივერსიტეტის ფარგლებში მხოლოდ სამეცნიერო-კვლევითი (რაც ითვალისწინებს შეთავსებით, სამეცნიერო-კვლევითი ფუნქციების მქონე თანამდებობის დაკავებას შესაბამისი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე) და საგანმანათლებლო საქმიანობა (რაც გულისხმობს შეთავსებით თსუ-ის პროფესიულ, ქართულ ენაში მომზადების, უწყვეტი განათლების ცენტრის სასერთიფიკატო კურსების, საბაკალავრო, სამაგისტრო, ერთსაფეხურიან და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართულობას, მათ შორის აკადემიური პერსონალის სტატუსით) შესაბამისი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, კვირაში არაუმეტეს 8 და სამუშაო დღის განმავლობაში არაუმეტეს 4 საათისა, რაც განისაზღვრება შესაბამის პერსონალთან გაფორმებული სათანადო შორმითი ხელშეკრულების საფუძველზე."

2. მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.სამუშაოზე დაგვიანებად მიიჩნევა პერსონალის მიერ სამუშაო დროს მასზე დაკისრებული ფუნქციის შესასრულებლად დაგვიანებით გამოცხადება. სამსახურში გამოცხადება გამოცხადების დროზე არაუმეტეს 30 წუთით გვიან მიიჩნევა ავტომატურად საპატიოდ და ამ შემთხვევაში წინამდებარე შინაგანაწესით გათვალისწინებული სანქციები გამოყენებას არ ექვემდებარება. სამუშაო დღისთვის განკუთვნილი სამუშაო საათების სრული ოდენობის განმავლობაში სამსახურის გაცდენა მიიჩნევა სამსახურში გამოუცხადებლობად."

3. მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3.პერსონალს, რომელსაც ჰყავს სკოლამდელი ან სასკოლო (დაწყებითი საფეხურის) ასაკის ბავშვი, ან შშმ/სსსმ ოჯახის წევრი, ასევე, თუ არსებობს სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოება, უფლება აქვს, უშუალო ხელმძღვანელთან შეთანხმებით, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით, **სამსახურში გამოცხადდეს დადგენილზე ნახევარი საათით გვიან, ან სამუშაო ადგილი დატოვოს დადგენილზე ნახევარი საათით ადრე".**

4. მე-8 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4. სისტემატურ დაგვიანებად და სისტემატურ გაცდენად ჩაითვლება პერსონალის მიერ სრული კალენდარული თვის განმავლობაში **3-ზე** მეტჯერ სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადება, ერთი კალენდარული თვის განმავლობაში **2-ზე** მეტჯერ გაცდენა, რაც მიჩნეული იქნება არასაპატიოდ და ავტომატურად იწვევს დამრღვევი პირის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყებას".

5. მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი <u>ამოღებულ იქნას</u>

6. მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. პერსონალს, რომლის სამუშაო დრო განისაზღვრება 09^{00} საათიდან 18^{00} საათამდე (ყოველი სამუშაო კვირის პარასკევ დღეს ან საქართველოს ორგანული კანონი - საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული უქმე დღეების წინა სამუშაო დღეს - 09^{00} საათიდან 17 ^{00} საათამდე), უფლება აქვს კალენდარული წლის განმავლობაში არაუმეტეს 12, ხოლო თვის განმავლობაში არაუმეტეს 2 დღით ისარგებლოს სამსახურებრივი მოვალეობებისაგან დროებით გათავისუფლების უფლებით (შესაბამისი მიზეზის/მიზეზების გარეშე).".

7. 27-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის უნივერსიტეტი უფლებამოსილია პერსონალის მიმართ გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი ზომები (დისციპლინური სახდელი):
ა) შენიშვნა;
ბ) საყვედური;
გ) გაფრთხილება;
დ) შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა."

8. 27-ე მუხლის მე-17 პუნქტი ჩამოყალიბდეს შმდეგი რედაქციით:

„17. დასაქმებულის მიმართ ერთი წლის განმავლობაში 2 დისციპლინური სახდელის გამოყენება წარმოადგენს მისთვის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს".

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
RECTOR

N 12289/10 10/05/2023

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობით საბჭოს

მოგახსენებთ, რომ შემუშავებულ იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები“-ს ცვლილებების პროექტი. დაგეგმილი ცვლილებები ემსახურება პერსონალზე ზრუნვას, შრომის პირობების გაუმჯობესებას და შრომის დისციპლინის განმტკიცებას. ცვლილებების პროექტი გაეგზავნა ყველა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს (დოკ.N6756/10 15.03.2023) და ეთხოვა მისი გაცნობა საშტატო და შტატგარეშე პოზიციაზე დასაქმებული ყველა კატეგორიის პერსონალისათვის. „შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებ“-ში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით შემოსული წერილობითი შენიშვნებიდან გათვალისწინებული იქნა რამდენიმე:

ა) დაკორექტირდა მე-5 მუხლის მე-11 პუნქტში შესატანი ცვლილება. კერძოდ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს, ვისი სამუშაო დროც განისაზღვრება 09^{00} საათიდან 18^{00} საათამდე, სამუშაო კვირის განმავლობაში, სამუშაო საათების ფარგლებში, უფლება ეძლევა განახორციელოს უნივერსიტეტის ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო საქმიანობა შესაბამისი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, კვირაში არაუმეტეს 8 და სამუშაო დღის განმავლობაში არაუმეტეს 4 საათისა (ნაცვლად ცვლილებების პროექტის პირველი ვარიანტით განსაზღვრული „... კვირაში არაუმეტეს 8 და სამუშაო დღის განმავლობაში არაუმეტეს 3 საათისა“).

ბ) სამსახურში გამოცხადება გამოცხადების დროზე არაუმეტეს 30 წუთით გვიან (ნაცვლად შინაგანაწესში შესატანი ცვლილებების პირველ ვარიანტში მითითებული 15 წუთისა), მიიჩნევა ავტომატურად საპატიოდ და შინაგანაწესით გათვალისწინებული სანქციები არ გამოიყენება (მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი).

გ) უშუალო ხელმძღვანელთან შეთანხმებით, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით, სამსახურში დადგენილზე ნახევარი საათით გვიან გამოცხადების ან სამუშაო ადგილის დადგენილზე ნახევარი საათით ადრე დატოვების უფლება მიეცემა თანამშრომელს, ვისაც ჰყავს შშმ/სსსმ ოჯახის წევრი (შინაგანაწესში შესატანი ცვლილებების პირველ ვარიანტში მითითებული იყო შშმ/სსსმ არასრულწლოვანი შვილი)

ზემოაღნიშნული ცვლილებებით პროექტი კვლავ გადაეგზავნა ყველა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს (დოკ.N11212/10 28.04.2023) და ეთხოვა მისი გასაცნობად გადაგზავნა პერსონალისათვის.

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 02 41 Tel/Fax
ელ-ფოსტა: rector@tsu.ge; E-mail

თსუ-ის ყველა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისაგან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სახელზე შემოვიდა წერილობითი შეტყონინება იმის თაობაზე, რომ „შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებ“-ში შესატანი ცვლილებები გასაცნობად გადაეგზავნა როგორც საშტატო, ასევე შტატგარეშე ყველა კატეგორიის პერსონალს.

დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ „ სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსოტეტის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებ“-ში შესატან ცვლილებებს (დანართი 1).

პატივისცემით,

ჯაბა სამუშია

რექტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი